პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი | № 32 (11643) | შაბათი, 6 თებერვალი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ვ. ულბრიხტი და ო. გროტევოლი

5 თებერვალს მოხდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ვ. ულბრიხტთან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ო. გროტევოლთან.

შეხვედრის დროს, რომელიც მიმდინარეობდა მეგობრულ, გულითად ვითარებაში, გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება გერმანიის პრობლემის შესახებ უმაღლეს დონეზე მომავალ თათბირთან დაკავშირებით. ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ვ. ულბრიხტმა და ო. გროტევოლმა განიხილეს საკითხი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემდგომ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიზანია გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების უსწრაფესი დადება და დასავლეთ ბერლინში არანორმალური მდგომარეობის აღმოფხვრა. ყველა განხილულ საკითხზე გამოვლინდა სრული ერთსულოვნება.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ვ. გომულკა და ი. ცირანკევიჩი

4 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვლადისლავ გომულკა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი და ესაუბრა მათ. საუბარი მეგობრულ, გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა.

საუბარს დაესწრნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბოლესლავ იაშჩუკი და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. ა. აბრასიმოვი.

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი

ვარშავის ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად 1960 წლის 4 თებერვალს მოსკოვში გაიმართა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი თათბირი.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს როგორც წარმომადგენლებმა:

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ენვერ ხოჯამ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მეჰმეთ შეჰუმ, სახალხო თავდაცვის მინისტრმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბექირ ბალუქუმ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეჰარ შტიულამ, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა მოსკოვში ნესტი ნასემ.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ტოდორ ჟივკოვმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანტონ იუგოვმა, სახალხო თავდაცვის მინისტრმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ივანე მიხაილოვმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლო ლუკანოვმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ლიუბენ გერასიმოვმა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ფერენც მიუნიხმა, თავდაცვის მინისტრმა გეზა რევესმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ენდრე შიკმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვალტერ ულბრიხტმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ოტო გროტევოლმა, ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ვილი შტოფმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა დოქტორმა ლოტარ ბოლცმა.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადისლავ გომულკამ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იუზეფ ცირანკევიჩმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ადამ რაპაცკიმ, ეროვნული თავდაცვის მინისტრმა მარიან სპიხალსკიმ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ბოლესლავ იაშჩუკმა.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გეორგე გეორგიუ-დეჟმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კივუ სტოიკამ, შეიარაღებული ძალების მინისტრმა ლეონტინ სელეჟანმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა აბრამ ბუნაჩიუმ, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში მიხაი დალიამ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, საბჭოთა კავშირის მარშალმა, თავდაცვის მინისტრმა რ. ი. მალინოვსკიმ.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისაგან — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ, მთავრობის თავმჯდომარემ ვილიამ შიროკიმ, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ოტაკარ შიმუნეკმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაცლავ დავიდმა, ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ბოგუმირ ლომსკიმ, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში რიჰარდ დვორჟაკმა.

როგორც მეთვალყურემ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან მონაწილეობა მიიღეს: კან შენმა — ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ლიუ სიაომ — ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში, უ სიუ-ციუანმა — ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა.

როგორც მეთვალყურემ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისაგან მონაწილეობა მიიღეს: კიმ ირმა — კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, პაკ სან ჩერმა— საგარეო საქმეთა მინისტრმა, ხო ბონ ხაკმა — ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილემ.

როგორც მეთვალყურემ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისაგან მონაწილეობა მიიღეს: ი. ცედენბალმა — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ლ. ცენდმა — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა, პ. შაგდარსურენმა — საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჟ. ლხაგვასურენმა — თავდაცვის მინისტრმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ს. კონევმა.

სხდომას თავმჯდომარეობდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფერენც მიუნიხი.

თათბირმა განიხილა თანამედროვე საერთაშორისო ვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემები და გამოთქვა აზრი ისეთ დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორიც არის საყოველთაო და სრული განიარაღება და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ახორციელებს შეიარაღებული ძალების ახალ მნიშვნელოვან შემცირებას, და იმის შესახებ, თუ როგორი იქნება სსრ კავშირის პოზიცია უმაღლეს დონეზე მომავალი შეხვედრის დროს, გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა.

აზრთა ყოველმხრივი ურთიერთგაზიარების მსვლელობაში თათბირის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებმა შეათანხმეს თავიანთი შემდგომი მოქმედება იმისათვის, რომ განამტკიცონ და განავითარონ საერთაშორისო დაძაბულობის დასახული შენელება.

თათბირის მონაწილეებმა გადაწყვიტეს განაგრძონ ურთიერთ კონსულტაციები მთავრობათა მეთაურების პარიზის შეხვედრისათვის მზადების მსვლელობაში.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირმა ჩაიარა სრული ურთიერთგაგებისა და მტკიცე მეგობრობის ვითარებაში. აზრთა ურთიერთგაზიარებამ ცხადყო სრული ერთსულოვნება როგორც საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებაში, ისე განხილული კონკრეტული საკითხების შესახებ. პოლიტიკურმა საკონსულტაციო კომიტეტმა მიიღო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაცია.

★ ★ ★

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ძალთა თანაფარდობა მსოფლიოში სულ უფრო იცვლება იმათ სასარგებლოდ, ვინც იბრძვის გამალებული რაკეტულ-ატომური და სხვა შეიარაღების შეწყვეტისათვის, „ცივი ომის“ ლიკვიდაციისათვის, ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, განურჩევლად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა და იდეოლოგიისა.

შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, ნათქვამია დეკლარაციაში, როცა რომელიმე აგრესიული სახელმწიფოს ყოველ ცდას — გამოიყენოს იარაღი სადავო საერთაშორისო საკითხების გადასაჭრელად, დაადგეს ომის გზას, მოჰყვებოდა მშვიდობის დამრღვევის დაუყოვნებლივი და სრული განადგურება.

დეკლარაციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ამჟამად უფრო, ვიდრე ოდესმე წინათ, არის ხელშემწყობი წანამძღვრები აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის ნაყოფიერი მოლაპარაკებისათვის განიარაღების შესახებ.

ვარშავის ხელშეკრულების წევრმა ყველა სახელმწიფომ განაცხადა, რომ სურთ გახდნენ მონაწილენი მომავალი შეთანხმებისა საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

თათბირის მონაწილე სახელმწიფოებს სსრ კავშირის გადაწყვეტილება თავისი შეიარაღებული ძალების ახალი დიდი შემცირების შესახებ მიაჩნიათ ისეთ ინიციატივად, რომელიც აადვილებს შეთანხმების მიღწევას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. თავისი დაარსების დროიდან ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციამ მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალების საერთო რიცხვი შეამცირა 2.596,5 ათასი კაცით, ხოლო სსრ კავშირში არმიის ახლანდელი ცალმხრივი შემცირებით ეს ციფრი მიაღწევს 3.796,5 ათასს.

დეკლარაციაში ხაზგასმით აღნიშნულია დადებითი მაგალითი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა, რომელმაც ნებაყოფლობით შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალების რიცხვი 90 ათას კაცამდე და უარი თქვა სამხედრო ვალდებულების შემოღებაზე.

თათბირზე წარმოდგენილმა სახელმწიფოებმა მოუწოდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით იმათ, რომლებსაც აქვთ ყველაზე მეტი სამხედრო ძლიერება, თავიანთი შეიარაღებული ძალების შემცირებით უპასუხონ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ცალმხრივ შემცირებას.

სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და ბულგარეთის — ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე იმ სახელმწიფოების მთავრობები, რომლებიც ათთა კომიტეტში შედიან, მისცემენ თავიანთ წარმომადგენლებს ამ კომიტეტში დირექტივას ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი მის ნაყოფიერ მუშაობას და ეცადონ, რომ რაც შეიძლება მალე შემუშავებულ იქნას ხელშეკრულება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

თათბირის მონაწილეებმა იმედი გამოთქვეს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებიც შეიტანენ თავიანთ წვლილს განიარაღების პრობლემის მალე გადაჭრის საქმეში.

დეკლარაციაში გამოთქმულია იმედი, რომ ჟენევის მოლაპარაკების ყველა მონაწილე ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ სულ უახლოეს დროში მიღწეულ იქნას ატომგულის იარაღის ყველა სახეობის გამოცდის შეწყვეტა ჰაერში, მიწაზე, მიწისქვეშ და წყალქვეშ.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც მან მიიღო მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით ადენაუერის მთავრობის რევანშისტული პოლიტიკის წინააღმდეგ. „სოციალისტური ბანაკის გაერთიანებული ძლიერება, — ნათქვამია დეკლარაციაში, — იმის საიმედო გარანტიაა, რომ არ იქნება დაშვებული არც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ხელყოფა, არც პოლონეთის დასავლეთი მხარეების ახალი დაპყრობა, არც ჩეხოსლოვაკიის საზღვრების ხელშეუხებლობის დარღვევა“.

თუ მეცადინეობა, რომლის მიზანია საზავო ხელშეკრულების დადება ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან, ნათქვამია შემდეგ დეკლარაციაში, ვერ ჰპოვებს მხარდაჭერას და დაბრკოლებებს შეუქმნიან ამ საკითხის გადაჭრას, თათბირზე წარმოდგენილ სახელმწიფოებს არ დარჩებათ სხვა გამოსავალი, თუ არა ის, რომ სხვა სახელმწიფოებთან ერთად, რომლებიც ამისათვის მზად იქნებიან, დადონ საზავო ხელშეკრულება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და ამ საფუძველზე გადაწყვიტონ აგრეთვე დასავლეთ ბერლინის საკითხი.

თათბირზე წარმოდგენილმა სახელმწიფოებმა დაადასტურეს თავიანთი განუხრელი მისწრაფება გააუმჯობესონ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელმწიფოთა ურთიერთობა, განამტკიცონ ნდობა მათ შორის, განავითარონ ყველა ფორმის საერთაშორისო თანამშრომლობა.

თათბირის მონაწილეებმა, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადების ამოცანის აქტუალობა არათუ არ მცირდება, არამედ წლითიწლობით ძლიერდება, საჭიროდ მიიჩნიეს განაცხადონ, რომ ეს წინადადება ძალაში რჩება და რომ ისინი მზად არიან ყოველ დროს ხელი მოაწერონ ნატოს წევრ სახელმწიფოებთან თავდაუსხმელობის პაქტს.

ამჟამად, აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეებს შორის პასუხსაგები მოლაპარაკების წინ, უმაღლეს დონეზე თათბირის წინ, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მონაწილეთა აზრით, განსაკუთრებით საჭიროა, რომ ყველა სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობდეს ისეთი ვითარების შესაქმნელად, რომელიც აადვილებს მომავალი მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობები კმაყოფილებით აღნიშნავენ დეკლარაციაში, რომ მათი დაუცხრომელი მეცადინეობა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, საერთაშორისო კონფლიქტების საშიში კერების მოსასპობად, „ცივი ომის“ ლიკვიდაციისათვის მსოფლიოს ხალხთა სულ უფრო ფართო მხარდაჭერას პოულობს და დადებითს ნაყოფს იძლევა. მათ ერთსულოვნად მიაჩნიათ, რომ ჩვენს დროში სახელმწიფოებს არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ უფრო დიადი და უფრო კეთილშობილური ამოცანა, ვიდრე ის, რომ ხელი შეუწყონ დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სიმინდის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში

განიხილა რა ამ დღეებში საქართველოს სს რესპუბლიკაში სიმინდის წარმოების გადიდების ღონისძიებათა საკითხი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში გაწეულია გარკვეული მუშაობა სიმინდის წარმოების გასადიდებლად. სიმინდი ძირითადი კულტურა გახდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის წვნიანი და კონცენტრირებული საკვებით უზრუნველყოფის საქმეში.

სიმინდის საერთო მოსავალმა მარცვლად 1959 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში შეადგინა 314 ათასი ტონა ნაცვლად 1953 წლის 229 ათასი ტონისა. დამზადებულია 1,8 მილიონი ტონა სილოსი, ანუ 10 ტონა საშუალოდ ერთ ძროხაზე. გასულ წელს სიმინდის მარცვლის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე რესპუბლიკაში შეადგინა 16 ცენტნერი ნაცვლად 1953 წლის 9,5 ცენტნერისა.

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა 1.792 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ერთ ჰექტარზე შარშან მიიღეს 30,2 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა 2.960 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ერთ ჰექტარზე — 29,5 ცენტნერი.

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობამ 180 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღო 61,6 ცენტნერი სიმინდი, ხოლო აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ 320 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ერთ ჰექტარზე — 38 ცენტნერი.

ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის მოსავალი მარცვლად რამდენიმე წლის განმავლობაში შეადგენს 50 ცენტნერსა და მეტს ჰექტარზე, მაშინ როცა თანაბარსავე პირობებში სოფელ გრემის გორკის სახელობის კოლმეურნეობა იღებს არაუმეტეს 24 ცენტნერისა. ყვარლის რაიონის კოლმეურნეობები მაგალითს რომ იღებდნენ კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობისაგან, რისთვისაც მათ ყველა შესაძლებლობა აქვთ, მთლიანად რაიონი ყოველწლიურად დამატებით მიიღებდა 7.000 ტონაზე მეტ მარცვალს, რაც შეადგენდა 9.500 ტონა საკვებ ერთეულს და უზრუნველყოფილი იქნებოდა დამატებით 12.000 ცენტნერამდე ძროხის ხორცი ან 19.000 ცენტნერამდე ღორის ხორცის მიღება.

დამატებითი საკვების მიღების დიდი წყაროა სიმინდის ნათესები ნაწვერალზე, რომლებიც ყოველწლიურად იზრდებოდა და 1959 წელს 32 ათასი ჰექტარი შეადგინა. ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა გაადიდეს ამ ნათესების ფართობი და უკანასკნელ წლებში იგი აღემატება 4.500 ჰექტარს, რაც თავთავიანი კულტურების ნათესების საერთო ფართობის 50 პროცენტს შეადგენს.

არის ისეთი რაიონები, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყენებენ საკვების გადიდების ამ დიდ რეზერვს, ხოლო ზოგიერთმა რაიონმა კიდევაც შეამცირა ნაწვერალზე ნათესების ფართობი. მაგალითად, კასპის რაიონის კოლმეურნეობებმა 9.987 ჰექტარი ნაწვერალიდან სიმინდის დასათესად 1958 წელს გამოიყენეს მხოლოდ 600 ჰექტარი, 1959 წელს კი — 230 ჰექტარი. ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა ნაწვერალზე სიმინდი დათესეს 2.510 ჰექტარ ფართობზე — 490 ჰექტარით ნაკლები, ვიდრე 1958 წელს.

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებში 1959 წელს სიმინდის მოსავალი სასილოსედ დატაროებამდე აღებულ იქნა 1.645 ჰექტარზე, სამგორის რაიონის — 1.067 ჰექტარზე, კასპის რაიონის — 1.830 ჰექტარზე, სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობებში — 1.375 ჰექტარზე. ვანის, გეგეჭკორისა და ჩხოროწყუს რაიონების კოლმეურნეობებს სრულებით არ დაუსილოსებიათ სიმინდი რძიან-ოდოში სიმწიფის სტადიაში.

მარცვლეული კულტურების საერთო ნათესებში სიმინდის ნათესების ხვედრითი წონა ჯერ კიდევ დაბალია: კასპის რაიონში იგი შეადგენს 39 პროცენტს, თელავის რაიონში — 34, საგარეჯოს — 32, გურჯაანის — 29, ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონებში — 28, წითელწყაროს რაიონში — 25 და სიღნაღის რაიონში — 20 პროცენტს.

გასულ წელს რესპუბლიკის 52 რაიონის კოლმეურნეობებში სიმინდის ნათესების მდგომარეობის შემოწმებით გამოირკვა, რომ სიმინდი დათესილია აგროტექნიკური ვადების დარღვევით 63 ათას ჰექტარ ფართობზე.

1959 წელს აგროტექნიკური ვადების დარღვევით დათესილი სიმინდის ფართობმა წულუკიძის რაიონის კოლმეურნეობებში შეადგინა 64 პროცენტი, მაიაკოვსკის — 60, ცხაკაიას — 57, ხობის — 50, დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებში — 42 პროცენტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში — 27 პროცენტი და ა. შ. კასპის, სამგორის, წულუკიძის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონების კოლმეურნეობებში სიმინდის ნათესების პირველი დამუშავება გრძელდებოდა 70-80 დღის განმავლობაში, ხოლო საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებში სიმინდის ნათესი ფართობის 1/3 სრულიად დაუმუშავებელი დარჩა.

საქართველოს კპ რაიკომების ზოგიერთი მდივნის, რაიაღმასკომების თავმჯდომარეების, ცალკეული რაიონების ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და მთელ რიგ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაკების კონსერვატიზმის შედეგად დღემდე ფართო გამოყენება ვერ ჰპოვა სიმინდის თესვის კვადრატულ-ბუდობრივმა წესმა.

1959 წელს კვადრატულ-ბუდობრივი წესით დაითესა მხოლოდ 29.000 ჰექტარი, მაშინ როცა სიმინდის მთელი ნათესი ფართობი 257.000 ჰექტარს შეადგენდა.

ეს პროგრესული ღონისძიება უგულებელყოფილია განსაკუთრებით რესპუბლიკის დასავლეთ რაიონებში.

მთელ რიგ რაიონებში არ უზრუნველყოფენ სიმინდის ნათესების გაფართოებას და წარმოების გადიდებას. მაგალითად, მარნეულის რაიონში სარწყავ მიწებზე მარცვლეული კულტურების საერთო ნათესი ფართობიდან — 18.355 ჰექტარიდან სიმინდს უჭირავს 6.798 ჰექტარი, ე. ი. 37 პროცენტი. სამგორის რაიონის კოლმეურნეობებში რწყვის პირობებში ძირითადად თავთავიანი კულტურები ითესება — მარცვლეულ კულტურათა ნათესი ფართობიდან—11.358 ჰექტარიდან სიმინდს უჭირავს 4.000 ჰექტარი, ესე იგი 35 პროცენტი. და ეს მაშინ, როცა საშემოდგომო ხორბლის საშუალო მოსავალი ამ რაიონებში ჰექტარზე 8-13 ცენტნერს არ აღემატება, სიმინდი კი შესაბამისად 17 და 20 ცენტნერს იძლევა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დასახა ღონისძიებანი სიმინდის წარმოების გადიდების უზრუნველსაყოფად. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საოლქო და რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დაევალათ:

გადასინჯონ ნათესი ფართობების სტრუქტურა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში იმ ანგარიშით, რომ მაქსიმალურად გაადიდონ სიმინდის ნათესი ფართობები ძირითადად ნაკლებპროდუქტიული თავთავიანი კულტურების ნათესების შემცირების გზით; წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონების ველიან ურწყავ პირობებში სიმინდის ნათესი ფართობები აიყვანონ მარცვლეული კულტურების საერთო ნათესი ფართობის 40-50 პროცენტამდე. საკმაო ტენიანობის რაიონებში და ლაგოდეხის, ყვარლის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, ახმეტის, სამგორის, ბოლნისის, მარნეულის, მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის რაიონების სარწყავ მიწებზე, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებში — 50-60 პროცენტამდე, ქართლის მთისწინეთის ურწყავ პირობებში — 40-45 პროცენტამდე.

საჭიროა გადიდდეს სიმინდის ხანაწვერალო ნათესების ფართობები, რაც უნდა განხორციელდეს თავთავიანი კულტურების ნათესის 80-100 პროცენტ ფართობზე საკმაო ტენიანობის რაიონებში და სარწყავ მიწებზე, ხოლო ბარისა და მთისწინეთის დანარჩენ რაიონებში აყვანილ იქნას 50-60 პროცენტამდე.

რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებში სიმინდი, როგორც წესი, უნდა ითესებოდეს მზრალად ხნულზე. საქართველოს დასავლეთ რაიონებში ძირითადი ხვნა იწყებოდეს ნოემბრის მესამე დეკადიდან.

საქართველოს სახელმწიფო ზონალურ მანქანათსაცდელ სადგურთან უნდა მოეწყოს სემინარები ხელმძღვანელი რაიონული მუშაკებისათვის, რაიონთა ცალკეული ჯგუფების მიხედვით, სიმინდის თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესის შესწავლისა და პრაქტიკული ათვისებისათვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს კპ რაიკომების მდივნებს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს წინადადება მიეცათ 1960 წლის თებერვალში თვითეულ რაიონში მოაწყონ სოფლის მეურნეობის ინსპექციის მუშაკებისათვის, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და სხვა მუშაკებისათვის სემინარები სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი ნათესების შესწავლისა და პრაქტიკულად გამოყენების მიზნით.

1960 წლისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძირითადი ამოცანაა სულ მცირე 2,2 მილიონი ტონა სილოსის ჩადება, რისთვისაც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს კპ რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა უნდა უზრუნველყონ რძიან-ოდოში სიმწიფის სტადიაში აღსაღები სიმინდის ფართობის მაქსიმალურად გადიდება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, წყალთა მეურნეობის სამინისტრო, სარწყავი მიწათმოქმედების რაიონების საქართველოს კპ რაიკომები და რაიაღმასკომები მოვალენი არიან დროულად მოამზადონ სარწყავი ქსელი რწყვის სეზონისათვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს კპ შესაბამის რაიკომებთან და რაიაღმასკომებთან ერთად შეიმუშაოს ღონისძიებანი სასიდერაციო კულტურების თესლის ადგილობრივ წარმოებისათვის იმ ანგარიშით, რომ უახლოეს 2-3 წლიწადში უზრუნველყოფილ იქნას ამ კულტურების თესლზე მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია წარადგინოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში წინადადებანი სიმინდის ნათესების გასაპატივებლად ტორფისა და ტორფ-მინერალური ნარევის წარმოების გაფართოების შესახებ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება მიეცა თბილისში მოაწყოს სიმინდის მოყვანის მოწინავეთა მიღწევების გამოფენა, შეიმუშაოს საუკეთესო მესიმინდეთა დაჯილდოების, სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით მათთვის დიპლომებისა და სამკერდე ნიშნების მიცემის პირობები, ამავე დროს მოაწყოს მოწინავეთა მიღწევების ფართო პროპაგანდა.

დადგენილება ითვალისწინებს 1960 წლის მარტში საქართველოს კპ რაიკომების მდივნების, რაიაღმასკომების თავმჯდომარეების, სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების უფროსების თათბირის მოწვევას.

1960 წლის ივნისში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე მოსმენილ იქნება საქართველოს კპ ცალკეული რაიკომების ანგარიში ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

კარგად დაიწყო შვიდწლედის მეორე წელი თბილისის პლასტმასის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც 22 იანვრისათვის 110 პროცენტით შეასრულა პროდუქციის გამოშვების თვიური დავალება და გეგმის გადამეტებით ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვა. სურათზე: საწნეხი საამქროს მოწინავე მუშები (მარცხნიდან) ნ. წერეთელი, თ. წიკლაური და რ. ბარამიძე, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

დარბაზობა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 4 თებერვალს სსრ კავშირის მთავრობის სადარბაზო სახლში გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ სოფლის მეურნეობის განვითარებაში გამოცდილების ურთიერთგაზიარების საკითხებზე ევროპის სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის მონაწილენი და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილენი.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მინისტრები, საბჭოთა კავშირის მარშლები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მეცნიერები და სპეციალისტები, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის პრაქტიკოსები, სსრ კავშირის ელჩები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, სოციალისტური ქვეყნების ელჩები საბჭოთა კავშირში, დელეგაციათა მრჩევლები და ექსპერტები.

დარბაზობამ განსაკუთრებით მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საქტასი).

დიდი მოძღვრების შუქი

ავამაღლოთ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების სწავლების დონე

უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში პარტიის იდეოლოგიური მუშაობის როლი განუზომლად იზრდება. თანამედროვეობის მოწინავე იდეების განმასახიერებელი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის შეთვისება, პარტიის ცხოვრებისა და პოლიტიკის ღრმა გაგება, კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისადმი მისწრაფება საბჭოთა ადამიანების სასიცოცხლო მოთხოვნილება ხდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“ მოგვცა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ფართო და ნათელი პროგრამა, განსაზღვრა მისი შინაარსი, ფორმები და მეთოდები მოცემულ ეტაპზე.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს მიეძღვნა უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც ახლახან გაიმართა.

თათბირმა მოისმინა და განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ი. ს. დოლიძის მოხსენება „რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ“.

სკკპ XX და XXI ყრილობების ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, — ამბობს მომხსენებელი, — გაამდიდრა ჩვენი პარტიის იდეური ცხოვრება. პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მიაღწიეს იმას, რომ პარტიული პროპაგანდა უფრო ცოცხალი და მრავალფეროვანი გახდა, გაძლიერდა მისი ქმედითობა, მაორგანიზებელი და მამობილიზებელი როლი. მაგრამ როგორც აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“, პარტიული პროპაგანდის მთავარი ნაკლი ის არის, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის დაძლეული მისი მოწყვეტა ცხოვრებისაგან, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკისაგან, აგრეთვე ის, რომ ვიწროა პარტიული პროპაგანდის გავლენის სფერო და ყოველთვის მისაწვდომი როდია მისი გაშუქების ფორმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის ზრუნავენ იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს უმაღლესი განათლების ორგანიზაცია ჩვენს ქვეყანაში. ამას მოწმობს ამას წინათ მიღებული კანონი „ჩვენს ქვეყანაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობის რეორგანიზაცია, რაც ახლა ხორციელდება. საბჭოთა უმაღლესი სკოლა მოწოდებულია ამზადებდეს მაღალკვალიფიციურ და იდეურად მტკიცე, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მოთხოვნების დონეზე მდგომ, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა ცოდნით შეიარაღებულ სპეციალისტებს, რომლებსაც უნარი ექნებათ გამოიყენონ თავიანთი ცოდნა ცხოვრებაში, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაში. იგი აიარაღებს ახალგაზრდობას საზოგადოებრივი განვითარების კანონთა ღრმა გაგებით, ზრდის კომუნისტური მორალის მაღალი მოთხოვნების სულისკვეთებით.

— ჩვენ, — აღნიშნავს მომხსენებელი, — განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები გვაქვს უმაღლეს სასწავლებლებში მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების სწავლების იდეურ-თეორიული დონის შემდგომი ამაღლებისათვის. უდიდესი დადებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოქვეყნდა კ. მარქსის და ფ. ენგელსის თხზულებათა ახალი კრებული, ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებული. მასობრივი ტირაჟებით გამოიცა მარქსიზმის კლასიკოსების ცალკეული ნაწარმოებები და შრომების კრებულები, უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტები, აგრეთვე ახალი სახელმძღვანელოები, სასწავლო დამხმარე წიგნები და სხვა წიგნები სკკპ ისტორიის, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე. შეიქმნა სკკპ ისტორიის პოპულარული მარქსისტული სახელმძღვანელო, რომელშიც მეცნიერულად განზოგადებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლის მსოფლიო-ისტორიული გამოცდილება.

უნდა მივაღწიოთ იმას, ამბობს მომხსენებელი, რომ ყოველი ლექტორი საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ლექციების კითხვას შემოქმედებითად უდგებოდეს. ლექციები და სემინარები მხოლოდ მაშინ იქნება ქმედითი, მიმზიდველი სტუდენტებისათვის, როცა ორგანულად დაუკავშირდება თანამედროვეობას. ამ მხრივ ცალკეულ კათედრებს გარკვეული დადებითი გამოცდილება აქვთ.

ფაქტები მოწმობენ, რომ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლების დონე ამ უკანასკნელ წლებში ამაღლდა. ჩვენს რესპუბლიკაში ბევრია კარგად მომზადებული ლექტორი, რომლებიც მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე ასწავლიან საზოგადოებრივ მეცნიერებათა კურსს. მათს ლექციებში საკითხები ღრმად და ყოველმხრივ არის გაშუქებული, ისინი იყენებენ ახალ მასალას, უნარიანად უკავშირებენ საკითხებს პროფილურ დისციპლინებსა და თანამედროვეობას, ლაპარაკობენ მკაფიოდ, მიმზიდველად, ღრმა პარტიული რწმენითა და მგზნებარებით. მაგრამ ზოგ შემთხვევაში საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლების საქმის დაყენება ჯერ კიდევ არ შეესაბამება პარტიის მიერ დასახულ ახალ ამოცანებს.

ამხ. დოლიძემ მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა გარჩევას, რომლებსაც შეიცავდნენ უმაღლესი სასწავლებლების სოციალურ-ეკონომიური დისციპლინების მთელ რიგ მასწავლებელთა ლექციები. მან ილაპარაკა იმაზე, რომ ეს ნაკლოვანებანი აქვთ სოხუმის, ბათუმისა და სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტების, თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ცალკეულ ლექტორებს.

ზოგ შემთხვევაში ლექციის მასალა შუქდება მშრალად, უანალიზოდ, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო დაუკავშირებლად, სხვა შემთხვევებში კი მოცემული დისციპლინის პრობლემების ღრმად დაკავშირება ცხოვრებასთან შეცვლილია ზერელე ინფორმაციით მიმდინარე მოვლენათა შესახებ. მასწავლებლები ყოველთვის ვერ ითვალისწინებენ სტუდენტთა მოთხოვნილებას, მათი განვითარების დონეს, ყოველთვის არ იჩენენ ინტერესს იმისადმი, თუ როგორ ითვისებს ახალგაზრდობა საგანს. თავიანთ ლექციებში ისინი ჯერ კიდევ სუსტად ამხილებენ ბურჟუაზიულ იდეოლოგიასა და თანამედროვე რევიზიონიზმს.

მთელი რიგი ლექციების დაბალი მეცნიერული დონე უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ ბევრი მასწავლებელი საკმაოდ არ მუშაობს თავის თავზე, არ ეწევა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, არ იყენებს მას როგორც სწავლების დონის ამაღლების საშუალებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის, ფილოსოფიისა და ისტორიის ინსტიტუტებში უკანასკნელ ხანს გაწეულია გარკვეული მუშაობა. მზადდება მთელი რიგი მონოგრაფიები, კრებულები, ბროშურები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისა და საქართველოს კომპარტიის 40 წლისთავისათვის.

მაგრამ როგორც ეს ინსტიტუტები, ისე აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა ბევრი კათედრა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ნაკლებად არის დაკავშირებული პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებასთან, ყოველთვის როდი ეხმარება მათ აქტიურად და შემოქმედებითად იდეოლოგიური მუშაობის განხორციელებაში.

იშვიათად იმართება დისკუსია დიდმნიშვნელოვანი თეორიული საკითხების შესახებ. ჯერ კიდევ სუსტად აშუქებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების საკითხებს პარტიული პრესა. ეს ეხება როგორც რესპუბლიკურ გაზეთებს, ისე და განსაკუთრებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „საქართველოს კომუნისტს“. საჭიროა შემოღებულ იქნას საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების გაგზავნა ხანგრძლივი მივლინებით საწარმოებში, სახალხო მეურნეობის საბჭოებში, საგეგმო ორგანოებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ მათ არა მარტო იპოვონ ილუსტრაციები და ფაქტები თავიანთ თეორიულ დებულებათა განსამტკიცებლად, არამედ აგრეთვე უფრო ღრმად გაერკვენ იმ პროცესებში, რომლებიც საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში ხდება. სოციალურ-ეკონომიური დისციპლინების სწავლების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მჭიდრო კავშირს უმაღლესი სასწავლებლის პროფილთან. მომხსენებელი ამბობს, რომ საჭიროა დაინერგოს რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის ბევრი იმ უმაღლესი სასწავლებლის გამოცდილება, რომლებსაც პრაქტიკაში აქვთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების წევრთა გამოყოფა გარკვეულ ფაკულტეტებთან სამუშაოდ.

ამ მეცნიერებათა მასწავლებლების ამოცანა მარტო ის როდია, რომ გადასცენ სტუდენტებს ცოდნის გარკვეული მარაგი, არამედ ისიც, რომ გამოაწრთონ ისინი იდეოლოგიურად, აღზარდონ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ამ სასწავლო წელს უნივერსიტეტებისა და პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების ყველა ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე შემოღებულ იქნება ეთიკისა და ესთეტიკის ფაკულტატური კურსი. გარდა ამისა, ყველა უმაღლეს სასწავლებელში წაიკითხავენ აგრეთვე მეორე ფაკულტატურ კურსს „მეცნიერული ათეიზმის საფუძვლებს“. უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა მაღალ დონეზე ასწავლონ ეს კურსი.

უმაღლეს სასწავლებელთა დირექცია, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, აღნიშნავს მომხსენებელი, თავიანთ იდეურ-აღმზრდელობითსა და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში უმთავრესად სოციალურ-ეკონომიური დისციპლინების კათედრებს უნდა ემყარებოდნენ. მაგრამ ამასთანავე სტუდენტთა აღზრდაში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს პროფესორ-მასწავლებელთა მთელი შემადგენლობა.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლებს, ამბობს დასასრულ ამხ. დოლიძე, დაკისრებული აქვთ საპატიო ამოცანა დაანახვონ ახალგაზრდობას მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების სიდიადე, მიაღწიონ იმას, რომ სტუდენტებმა შემოქმედებითად შეითვისონ ეს დიადი მოძღვრება და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ ახალგაზრდობის იდეოლოგიური წრთობის საქმეში. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებისა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაკების კოლექტივი წარმატებით განახორციელებს ამ პასუხსაგებ ამოცანას.

თათბირის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის“ სახელმძღვანელოს ავტორთა კოლექტივის წევრის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ა. პ. კუჩკინის მოხსენება ამ სახელმძღვანელოს შესახებ.

მომხსენებელი ლაპარაკობს ამ წიგნის უდიდეს მნიშვნელობაზე, რომელშიც გაშუქებული და მეცნიერულად განზოგადებულია სსრ კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის უდიდესი გამოცდილება, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის მისი ბრძოლის გამოცდილება, ლაპარაკობს ამ გამოცდილების დიად საერთაშორისო მნიშვნელობაზე, ძირითად იდეებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო წიგნს, მის წყაროებზე.

წიგნში განსაკუთრებით ხაზგასმულია მარქსიზმის განვითარების ლენინური ეტაპის დასაწყისი, ვ. ი. ლენინის ბრძოლა რუსეთში მუშათა კლასის მარქსისტული რევოლუციური პარტიის შექმნისათვის, მის მიერ რევოლუციური თეორიის ძირეული პრობლემების დამუშავება და პარტიის უშუალო ხელმძღვანელობა როგორც ცარიზმის პირობებში, ისე პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ. სახელმძღვანელოში ფართოდ არის გაშუქებული აგრეთვე ვ. ი. ლენინის მოწაფეთა და მიმდევართა, თვალსაჩინო პროფესიონალ-რევოლუციონერთა, პარტიისა და სახელმწიფო მოღვაწეთა, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საქმიანობა.

დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ წიგნში გაშუქებულია ბოლშევიკური პარტიის შექმნის საკითხი. ვ. ი. ლენინის მითითებათა შესაბამისად წიგნში დადასტურებულია, რომ ბოლშევიზმი როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია არსებობს 1903 წლიდან, ესე იგი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობიდან. სკკპ მთელი ისტორია სახელმძღვანელოში გაშუქებულია მეცნიერების ისტორიზმისა და პარტიულობის მარქსისტულ-ლენინური პრინციპების საფუძველზე, საზოგადოებრივ მოვლენათა მატერიალისტური ახსნა-განმარტების შესაბამისად. მოვლენები განხილულია იმ პირობებთან მჭიდრო კავშირში, რომლებშიც ისინი ვითარდებოდნენ.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ საკითხებზე, რომლებიც „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის“ სახელმძღვანელოში გაშუქებულია ახლებურად სკკპ ისტორიის წინანდელ კურსთან და გამოკვლევებთან შედარებით.

ამხ. კუჩკინი ლაპარაკობს სკკპ XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებათა იდეურ სიმდიდრეზე, რამაც თავისი გამოხატულება პოვა პარტიის ისტორიის ახალ სახელმძღვანელოში. წიგნში ნაჩვენებია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების დიადი ძალა, პარტიის შემოქმედებითი დამოკიდებულება თეორიისადმი, მისი მუდმივი ბრძოლა დოგმატიზმისა და მედავითნეობის წინააღმდეგ, ზრუნვა ახალი დასკვნებითა და დებულებებით თეორიის განვითარებისა და გამდიდრებისათვის.

ახალ სახელმძღვანელოში გაშუქებულია სკკპ ისტორია ჩვენს დრომდე, გაშუქებულია პარტიის თეორიული მოღვაწეობა უკანასკნელ წლებში, ნაჩვენებია პარტიის ცენტრალური კომიტეტის როლი მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანესი პრობლემების დამუშავებაში კომუნისტური მშენებლობისა და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე. მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების მკაფიო მაგალითია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სკკპ XXI ყრილობაზე და ყრილობის გადაწყვეტილებანი.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს მ. ა. დინიკს, სასწავლო დამხმარე წიგნის „მარქსისტული ფილოსოფიის საფუძვლების“ ავტორთა კოლექტივის წევრს. შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მისი მოხსენება ამ სასწავლო სახელმძღვანელოს შესახებ.

წიგნი შეიცავს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძვლებს, ყველა მისი შემადგენელი ნაწილის სისტემატურ გაშუქებას, იძლევა წარმოდგენას მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიის თეორიისა და მეცნიერული მეთოდის შესახებ. ფილოსოფიური პრობლემები წიგნში გაშუქებულია ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერების დარგიდან დიდი შემეცნებითი მასალის დამოწმებით, ცხოვრების ახალი მოვლენების გათვალისწინებით. წიგნში მოცემულია ფილოსოფიის განვითარების მოკლე ისტორიული ნარკვევი, რაც გვეხმარება უფრო ღრმად გავიგოთ მარქსისტული ფილოსოფიის წარმოშობის ისტორიული პირობები, აგრეთვე დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის არსი. სასწავლო სახელმძღვანელოში ნაჩვენებია, რომ მარქსიზმის ფილოსოფია კანონზომიერი შედეგია ფილოსოფიის მთელი წინა განვითარებისა და რომ მისი გაჩენა ნიშნავს ნახტომს თვისებრივად ახალი საფეხურისაკენ ფილოსოფიის განვითარებაში.

წიგნი მთელი თავისი შინაარსით მიმართულია ბურჟუაზიული რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

როგორც მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, წიგნის შესახებ, რომელმაც ძირითადად დადებითი შეფასება და აღიარება ჰპოვა უმაღლეს სასწავლებლებში და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა შორის, შემოვიდა მთელი რიგი შენიშვნები, მითითებები, დამატებები. ისინი გათვალისწინებული იქნება ახალი გამოცემის დროს.

სკკპ ისტორიის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის სექციების (რომლებიც თათბირზე შეიქმნა) ხელმძღვანელებმა დოცენტებმა ლ. გორგილაძემ, ს. ლარცულიანმა და პროფესორმა ს. ბერაძემ თავიანთ მოხსენებებში ილაპარაკეს იმ საკითხებზე, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლებმა და მეცნიერმა მუშაკებმა აღძრეს „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის“ სახელმძღვანელოს და სასწავლო სახელმძღვანელოს — „მარქსისტული ფილოსოფიის საფუძვლების“ განხილვის პროცესში. მათ ილაპარაკეს აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში სოციალურ-ეკონომიური დისციპლინების სწავლების პრაქტიკისა და მეთოდიკის და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მთელ რიგ საკითხებზე.

თათბირზე გამოსულმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ა. პ. კუჩკინმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა მ. ა. დინიკმა ამომწურავი პასუხი და განმარტება მისცეს დასმულ საკითხებზე.

შემდეგ თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. დ. მ. კუკინი.

ამხ. კუკინმა ილაპარაკა მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლაზე, რასაც ეწევიან ბურჟუაზიის იდეოლოგები მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ. სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, რომელიც საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული ლენინური საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპია, სულაც არ ნიშნავს ჩვენს რაიმე შერიგებას, რაიმე დათმობას იდეოლოგიის დარგში.

ამხ. კუკინმა ილაპარაკა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმის უდიდეს მნიშვნელობაზე, „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი გადაწყვეტილების უდიდეს მნიშვნელობაზე.

ჩვენ, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები, ხაზს უსვამს ორატორი, მოვალენი ვართ ყოველი ღონისძიებით გავაძლიეროთ ბრძოლა თანამედროვე, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ულმობლად ვამხილოთ ყველა და ყოველგვარი მისი გამოვლინება.

ამხ. კუკინი ამბობს, რომ მოხსენებში და გამოსვლებში თათბირზე დაისვა უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები. იგი ხაზს უსვამს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების დიდ პასუხისმგებლობას ჩვენი ახალგაზრდობის, მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის.

უკანასკნელ წლებში გამოცემული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების გამოშვება დიდად უწყობს ხელს მუშაობას პარტიის ისტორიისა და სხვა სოციალურ-ეკონომიური დისციპლინების სწავლებისათვის. ისინი კვლავ გაუმჯობესდება როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ, შეივსება, გადამუშავდება, გამოვა ახალი სახელმძღვანელოები. მაგრამ, განვაგრძობთ რა ამ მუშაობას, საჭიროა გადავიდეთ შემდეგ ეტაპზე — შევქმნათ პარტიის მრავალტომიანი ისტორია, უფრო ღრმა გამოკვლევები და შრომები მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის დარგში.

მარტო სახელმძღვანელოები, ამბობს ამხ. კუკინი, რა კარგიც უნდა იყონ ისინი, ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ სწავლების წარმატებას. ამისათვის საჭიროა ლექტორთა მტკიცე პარტიული რწმენა, მგზნებარება, ღრმა და სერიოზული, მრავალმხრივი მომზადება.

ამხ. კუკინმა პასუხი გასცა უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა მთელ რიგ კითხვებზე. დასასრულ მან რწმენა გამოთქვა, რომ უმაღლეს სასწავლებელთა სოციალურ-ეკონომიური დისციპლინების მასწავლებელთა მუშაობა მარქსისტულ-ლენინური ცოდნის პროპაგანდისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის იწარმოებს ჯეროვანი გაქანებით, მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ს. დოლიძემ. (საქდესი).

მხატვრული და ტექნიკური ლიტერატურის 2 ათასზე მეტი წიგნი ითვლება ხობის რაიონის ხეთის საბჭოთა მეურნეობის ბიბლიოთეკაში. აქ ყოველთვის ბევრი მკითხველია. სურათზე: ბიბლიოთეკარი შ. მარგველაშვილი აძლევს წიგნს ვ. გერგაიას.

ფოტო პ. ლუცენკოსი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

მარგი ინიციატივა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხანი არ არის, რაც ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელ ქარხანაში სხვა კომისიებთან ერთად აირჩიეს ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, გეგმების შესრულებისადმი კონტროლის კომისია (თავმჯდომარე მთავარი ენერგეტიკოსი ხ. ბარსეგოვი). ამ კომისიის სხვა წევრებთან ერთად ინიციატივასა და მონდომებას იჩენს ხარატი ვლადიმერ გიუაშვილი.

მეორე წელია ქარხანაში უმოქმედოდ დგას ლიტრიან ბოთლებში წყლის ჩამოსასხმელი ხაზი, რადგან ქარხანა მთლიანად გადავიდა ნახევარლიტრიან ბოთლებში წყლის ჩამოსხმაზე. რესპუბლიკაში კი არის საწარმოები, რომლებიც მინერალურ წყლებს ლიტრიან ბოთლებში ასხამენ. ვლადიმერ გიუაშვილმა წამოაყენა წინადადება შეესწავლა კომისიას ამ ხაზის სხვა წარმოებისათვის გადაცემის საკითხი.

გაზის საამქროში სამაცივრო დანადგარებში ტექნოლოგიური პროცესით გათვალისწინებული ტემპერატურის დაცვისათვის საჭიროა მუშის სისტემატური მეთვალყურეობა.

არ შეიძლება ტემპერატურის რეგულირების ავტომატიზაცია? ამ საკითხით დაინტერესდნენ კომისიის წევრები — საამქროს უფროსი ს. კიკნაძე, ხარატი ვ. გიუაშვილი, გაზის საამქროს ცვლის უფროსი პ. გელაშვილი და სხვები. მათ შეისწავლეს ეს საქმე და შეიმუშავეს კონკრეტული წინადადებები.

ხის გადასამუშავებელ საამქროში გვიანდებოდა ახალი ჩარჩო-ხერხის დადგმა-დამონტაჟება. მიწის სამუშაოები შესრულებული იყო, საძირკვლის მოწყობა კი ჭიანურდებოდა. კომისიამ ამასაც მიაქცია ყურადღება, და საკითხი განსახილველად პარტბიუროში დააყენა. მიღებული ზომების შედეგად დაჩქარდა ახალი ჩარჩო-ხერხის დადგმა.

ქარხანაში დამონტაჟდა ახალი მეხუთე ჩამოსასხმელი ხაზი, რომლის ექსპლოატაციის დაწყების შემდეგ საამქროდან პროდუქციის გასაზიდად საჭირო იქნება დამატებით ერთი ავტოკარი. საერთოდ ქარხანაში განსახორციელებელია დატვირთვა-გადმოტვირთვის კომპლექსური მექანიზაცია. ახლა ამ საკითხებს სწავლობს კომისია.

კომისიას თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს ფართო აქტივი. ქარხნის მოწინავე ადამიანები ხშირად მიმართავენ კომისიის წევრებს, გამოთქვამენ თავიანთ წინადადებებს, სურვილებსა და შენიშვნებს წარმოების ცალკეულ საკითხებზე.

მ. ხეთაგური.

მეცნიერები წარმოებაში

ამას წინათ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ გამსვლელი სესია ჩაატარა გურჯაანის რაიონში. სესია მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საკითხებს.

სესიას დაესწრნენ და მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე ადამიანებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებისა და ღვინის ქარხნების დირექტორებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, პარტიის რაიკომისა და რაიაღმასკომის პასუხისმგებელმა მუშაკებმა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორებმა და დოცენტებმა, სულ 310 ამხანაგმა. სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგემ დოცენტმა ნ. პაიჭაძემ.

სამეცნიერო სესიამ ხუთი მოხსენება მოისმინა. მოხსენებით თემაზე „კვების მრეწველობის განვითარების პერსპექტივები საქართველოს სს რესპუბლიკაში მიმდინარე შვიდწლედში“ გამოვიდა პროდუქტთა ტექნოლოგიის კათედრის გამგე პროფ. ხ. შალამბერიძე, რომელმაც სესიის მონაწილეებს მოუთხრო იმ დიდ მიღწევებზე, რაც ჩვენს ქვეყანას გააჩნია კვების მრეწველობის აღმავლობის საქმეში.

„მევენახეობის წარმოების განვითარების პერსპექტივები კახეთის რაიონებში“ — ამ მოხსენებით გამოვიდა მევენახეობის კათედრის გამგე დოცენტი ნ. გელაშვილი. მან თავისი მოხსენების მეტი ნაწილი მიუძღვნა იმ კონკრეტული საკითხების სწორი გადაწყვეტის ღონისძიებებს, რაც ხელს შეუწყობს კახეთის, კერძოდ, გურჯაანის რაიონში ღვინის წარმოების ტექნოლოგიისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეს.

მოხსენებით „მევენახეობის განვითარების პერსპექტივები გურჯაანის რაიონში 1959-1965 წლებში“ გამოვიდა რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარი აგრონომი ნ. ჯოხაძე, რომელმაც სესიის მონაწილეებს მოუთხრო იმ დიდი მუშაობის შესახებ, რასაც ამჟამად ახორციელებენ გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

„პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზები საქართველოს რესპუბლიკის ღვინის მრეწველობაში“ — ასეთ თემაზე მოხსენებით გამოვიდა პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტი გ. ენდელაძე. მან მრავალი ფაქტით დაადასტურა, რომ ბევრია ღვინის თვითღირებულების შემცირების რესურსი, რომელთა გამოყენებას ღვინის ქარხნებში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა, და წამოაყენა საქმიანი წინადადებანი.

„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“ მოხსენებით გამოვიდა მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის დოცენტი გ. ხუნწარია.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება და დასახა ღონისძიებანი, რაც ხელს შეუწყობს მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა კავშირის განმტკიცებას.

დოცენტი ა. ნარჩომაშვილი.

ადამიანი უნდა აღზარდოს კოლექტივმა

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა აშენებს კომუნიზმის გრანდიოზულ შენობას, როცა საბჭოთა ადამიანები გმირული შრომით შეუდგნენ დიადი შვიდწლედის მეორე წლის ზღუდეების აღებას, განსაკუთრებული როლი ენიჭება საზოგადოებრივი ზემოქმედების მეთოდს საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბევრი საინტერესო ღონისძიება ტარდება ამ მხრივ როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ისე სასამართლო-პროკურატურისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მხრივ. ფართო სარბიელი მიეცა მშრომელთა საერთო კრებაზე მცირე დანაშაულის ჩამდენ პირთა საჯარო გაკიცხვას, კოლექტივის ზრუნვას ცხოვრების სწორ გზას აცდენილი ადამიანის გამოსასწორებლად, ცხოვრებაში მის დასაბრუნებლად.

ყოველდღიურმა პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ადამიანის აღზრდის საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ ზეინკალმა ვ. მაისურაძემ ქარხნის კლუბიდან 21 ცალი სკამი მოიპარა. მილიციის მუშაკებმა მას დანაშაულზე წაასწრეს, მაგრამ ვ. მაისურაძემ შეძლო მიმალულიყო, შემდეგ სინდისმა ქენჯნა დაუწყო და თავისი ფეხით გამოცხადდა საგამომძიებლო ორგანოებში, გულახდილად გამოტყდა დანაშაულში.

ქარხნის კოლექტივმა შუამდგომლობა აღძრა ქ. თბილისის კიროვის რაიპროკურატურის წინაშე გადაეცათ მაისურაძის საქმე ქარხნის კოლექტივისათვის. როგორც დამნაშავე, მაისურაძე წარსდგა ქარხნის მუშების წინაშე. მუშებმა დაგმეს მაისურაძის საქციელი, მკაცრად გააკრიტიკეს იგი, მაგრამ გაითვალისწინეს, რომ მან აღიარა დანაშაული, და ითხოვეს დაეტოვებინათ ქარხნის კოლექტივში. ეს მოხდა შარშან აგვისტოში. სამი თვის შემდეგ შევამოწმეთ, გაამართლა თუ არა მაისურაძემ კოლექტივის ნდობა. მასში სერიოზული გარდატეხა მომხდარა, ახლა იგი მაღალკვალიფიციური ზეინკალია. შეტანილი აქვს რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება, დავალებებს 150-180 პროცენტით ანაღდებს.

კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის მუშა, კომკავშირელი ე. ნოსოვი სისტემატურად აცდენდა სამუშაოს... აცდა ცხოვრების სწორ გზას, ხელი მიჰყო ქურდობას: ქარხნის საერთო საცხოვრებლიდან ამხანაგის ტანსაცმელი მოიპარა. ქარხნის კოლექტივი დაინტერესდა ამ ფაქტით. იმსჯელა ნოსოვის საზოგადოებრივი ზემოქმედების წესით გამოსწორების შესაძლებლობაზე და შუამდგომლობა აღძრა საგამომძიებლო ორგანოების წინაშე.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ნოსოვმა გულწრფელად აღიარა თავისი დანაშაული და პატიება ითხოვა, კოლექტივს პირობა მისცა, რომ დანაშაულს სანიმუშო ყოფაქცევითა და ენერგიული შრომით გამოისყიდდა.

ე. ნოსოვი ახლა სანიმუშო მუშაა, გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. ასევე გამოსწორდა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი ა. მარტიროსოვი.

საწარმო-დაწესებულებათა ზოგიერთმა ხელმძღვანელმა სწორად ვერ გაიგო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დამსჯელი ორგანოების როლი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ისინი ხშირად შუამდგომლობენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს განსახილველად გადასცენ ისეთი პირების საქმეები, რომლებსაც განსაკუთრებით საშიში და მძიმე ხასიათის დანაშაული აქვთ ჩადენილი, მაგალითად, თბილისის ელექტროტექნიკური ქარხნის კოლექტივმა შუამდგომლობა აღძრა ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს წინაშე იმის შესახებ, რომ გადაეცათ მათთვის საზოგადოებრივი ზემოქმედების მიზნით მ. კ. კრიუკოვის საქმე. ქარხნის ხელმძღვანელობამ იცოდა, რომ კრიუკოვმა ტაქსის მძღოლს კაზანჯიანს ფული არ გადაუხადა, დანით მიაყენა 3 ჭრილობა, წაართვა მაჯის საათი და ტაქსზე გამომუშავებული ფული 450 მანეთი. ამიტომ სასამართლომ და საგამომძიებლო ორგანომ სამართლიანი უარი უთხრეს ქარხნის დირექციას. კრიუკოვის საქმე სასამართლომ ღია საჩვენებელ პროცესზე განიხილა და შეუფარდა 10 წლით პატიმრობა.

ორგანიზაციის ზოგიერთი ხელმძღვანელი საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებში ერთპიროვნულად აღძრავს შუამდგომლობას დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ არსებული მასალების მათთვის გადაცემის შესახებ. ეს სწორი არ არის, საჭიროა შუამდგომლობას ჰქონდეს კოლექტიური ხასიათი, დამნაშავე უნდა გამოასწოროს კოლექტივმა.

საზოგადოებრიობის მონაწილეობა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მეტად დიდია, მხოლოდ საჭიროა მისი გაბედულად და სწორად გამოყენება.

ა. პაიჭაძე,
ქ. თბილისის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის დელეგატი, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. იაშვილი უზიარებს კოლმეურნეებს ყრილობაზე მიღებულ შთაბეჭდილებებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები—მოქმედებაში

საუბარი ნიკოლოზ მანუკოვსკისთან

მეგობრები ერთმანეთისაგან სწავლობენ

ნიკოლოზ მანუკოვსკი

290 **ნიკოლოზ** მანუკოვსკი სოფლის მეურნეობის შრომატევად სამუშაოებში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის ინიციატორია. გასულ წელს მან სიმინდის ყველა სამუშაო, თესვით დაწყებული და მოსავლის აღებით დამთავრებული, მექანიზმებით შეასრულა. ჰექტარზე მიიღო 290 ცენტნერი მწვანე მასა და 25 ცენტნერი მარცვალი, უზრუნველყო მელორეობის ფერმაში სამუშაოთა სრული მექანიზაცია.

მომდინარე წელს მანუკოვსკიმ იკისრა კომპლექსური მექანიზაციით დაამუშაოს როგორც ტექნიკური, ისე თავთავიანი კულტურების მთელი ფართობი, ჰექტარზე მიიღოს 350 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა და 30 ცენტნერი მარცვალი, მზესუმზირა — 14 ცენტნერი, საშემოდგომო მარცვლეული — 21 ცენტნერი, მეცხოველეობის ყველა ფერმაში დანერგოს კომპლექსური მექანიზაცია.

350

ბევრი კარგი მსმენია და წამიკითხავს გამოჩენილი მექანიზატორების მანუკოვსკისა და გიტალოვის შესახებ. გაზეთების საშუალებით გავეცანი მათი მუშაობის გამოცდილებას. სურვილი აღმძერა მენახა ისინი, გავცნობოდი იმ მეთოდებს, რომლებიც მათ დანერგეს სოფლის მეურნეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დარგში.

და აი ოცნება ამიხდა. რამდენიმე დღით ვეწვიე ვორონეჟის ოლქის ნოვაია უსმანის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობას, სადაც მუშაობს სახელგანთქმული მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ მანუკოვსკი.

* * *

ლამაზია ვორონეჟი. აღდგენილა, დამშვენებულა. იგი ხომ გერმანელმა ოკუპანტებმა თითქმის მიწასთან გაასწორეს. აქა-იქ მაინც ატყვია ქალაქს ომით მიყენებული ჭრილობები...

25 იანვრის სუსხიანი დღე იყო. მანქანამ ნოვაია უსმანის რაიონისაკენ აიღო გეზი. თოვლის თეთრ სამოსელში გახვეული გარემო მიმზიდველად გამოიყურებოდა. გზაზე იშვიათად ვხვდებოდით ქვეითად მოსიარულეს. ყველგან რუსული მარხილები მოძრაობდნენ. აი მოგვიახლოვდა ერთი მარხილი. მანქანა გავაჩერეთ და მძღოლს ვკითხეთ, თუ როგორ მივსულიყავით კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში.

— თქვენ ალბათ მანუკოვსკის სანახავად ჩამოხვედით. მას კანტორაში ვერ ნახავთ. ის სარემონტო სახელოსნოში ან ფერმებში იქნება.

სარემონტო სახელოსნოში მივედით. შეხვედრა გულთბილი იყო. ესიამოვნა გმირს შორეული ქვეყნიდან ჩასული სტუმარი, თუმცა ჩვენ არ ვიყავით პირველთაგანი. საიდან არ მიდიან მასთან.

— საქართველოდან გეწვიეთ მექანიზატორი გიორგი თინაშვილი, — ვთქვი და ხელი გავუწოდე. ერთმანეთს გადავეხვიეთ.

— საქართველოში არ ვყოფილვარ, მაგრამ ვიცი, რომ კარგი ქვეყანაა, — ღიმილით მითხრა მანუკოვსკიმ და სკამი შემომთავაზა.

მალე ჩვენი წრე გაფართოვდა. საუბარში ჩაებნენ რემონტზე მომუშავე ტრაქტორისტები.

ჩვენთვის საინტერესო თემაზე გადავედით.

— ტრაქტორებისა და სათესი მანქანების რემონტი ალბათ დაამთავრეთ, როდის დაიწყებთ საგაზაფხულო თესვას?

კითხვას კითხვაზე მაძლევდნენ. მეც განვუმარტე, რომ ტრაქტორების შეკეთებას წამოსვლის წინადღეებში მოვრჩით, სათესლე მასალაც მოვიმარაგეთ, თესვას კი თებერვლის პირველ რიცხვებში შევუდგებით.

— ნაადრევი გაზაფხული სცოდნია თქვენთან, — მითხრა მანუკოვსკიმ.

მე ვთხოვე, პირველ რიგში გაეცნო, როგორ მიაღწია კომპლექსურ მექანიზაციას სიმინდის კულტურის დამუშავებაში.

— სასოფლო-სამეურნეო შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის ამოცანა, — დაიწყო მანუკოვსკიმ, — რომელიც დასახა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ, გვავალებს მთელი გულისყურით მოვეკიდოთ ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებას. ეს კი საშუალებას მოგვცემს შრომის დანახარჯების შემცირების გზით გავადიდოთ როგორც სიმინდის, ისე სხვა კულტურების მოსავლიანობა, გავზარდოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა და შევამციროთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თვითღირებულება. ჩვენ ამ საკითხზე ვისაუბრეთ ბრიგადაში, გავეცანით გიტალოვის ინიციატივას, შევთანხმდით ფართოდ დაგვენერგა კომპლექსური მექანიზაცია მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში. 1956 წელს გადავწყვიტე კომპლექსური მექანიზაციით დამემუშავებინა 130 ჰექტარი სიმინდი. კომპლექსური მექანიზაციის გატარებამ, მოსავლიანობის გადიდების გარდა, უზრუნველყო შრომითი დანახარჯების შემცირება. კომპლექსურმა მექანიზაციამ საშუალება მოგვცა შრომითი დანახარჯები შეგვემცირებინა 1956 წელს — 7,2-ჯერ, 1959 წელს კი — 12-ჯერ.

საკვანძოდ ცნობილი ადამიანი გახდა ნიკოლოზ მანუკოვსკი. ყველგან გაისმის მისი სახელი ჩვენს დიად სამშობლოში. მასზე ლაპარაკობენ როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ გამოჩენილ მექანიზატორზე, შესანიშნავ ნოვატორზე. გულმოდგინედ ეცნობიან და სწავლობენ მისი შეთვისებული შრომის მეთოდებს, სამაგალითო მიღწევებს. სწავლობენ და იძენენ მის მდიდარ გამოცდილებას და ყოველივე ახალს, რაც კი ამ სახელოვან ბრიგადირს დაუნერგავს ვორონეჟის ოლქის ნოვაია უსმანის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში.

ნიადაგის წინასწარ მომზადებას მოითხოვს კომპლექსური მექანიზაცია. უამისოდ შეუძლებელია ამ პროგრესული მეთოდის დანერგვა. ჩვენი კოლექტივის თვითეული წევრი ცდილობს თავი გამოიჩინოს სახელოვანი შრომით. ოლქში ჩვენ პირველებმა დავნერგეთ კომპლექსური მექანიზაცია სიმინდის სამუშაოებში და თვალსაჩინო შედეგსაც მივაღწიეთ. ამაში დამსახურება სატრაქტორო ბრიგადის ყველა წევრს მიუძღვის, — კმაყოფილებით თქვა მანუკოვსკიმ.

ნიკოლოზ მანუკოვსკისთან მეგობრულ საუბარში გამოირკვა, რომ ნიადაგის მომზადებიდან იწყებენ სიმინდის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლას ამ კოლმეურნეობაში. სექტემბრის პირველ რიცხვებში წინასახნისიანი გუთნით მზრალად ხნავენ სასიმინდე ფართობს 25-27 სანტიმეტრ სიღრმეზე. იმისათვის, რომ ნიადაგმა შეინარჩუნოს ტენიანობა და მინდვრის სარეველა ბალახებს არ მიეცეს განვითარების საშუალება, აპრილის პირველ რიცხვებში ატარებენ მზრალის პირველ კულტივაციას 10-12 სანტიმეტრ სიღრმეზე. მაისის დასაწყისში, როცა უკვე სითბო დგება და სწრაფად იწყებს ამოსვლას სარეველა, მეორეჯერ ატარებენ კულტივაციას 7-9 სანტიმეტრ სიღრმეზე. მესამე კულტივაცია კი თესვის წინ ხდება სათესი მანქანის მოძრაობის მიმართულებით. ამით სწორდება სათესი ფართობი. ხელი არ ეშლება სათესი მანქანის მოძრაობას და საზომი მავთულის მექანიკურ გადაადგილებას, რაც დიდად უწყობს ხელს კვადრატულ-ბუდობრივ თესვას, სწორი კვადრატების მიღებას და ორმხრივ კულტივაციას.

სასიმინდე ნაკვეთების დამუშავების ასეთი წესი ჩვენ არა გვაქვს. მართალია, მზრალად ვხნავთ, მაგრამ კულტივაციას მხოლოდ თესვის დაწყების წინადღეებში ვატარებთ. ამატომაც არის, რომ სარეველა ბალახებს მთლიანად ვერა ვსპობთ, პირიქით, ხელი ეწყობა მათ ზრდა-განვითარებას. აღმოცენებული სიმინდის დამუშავების დროს საჭირო ხდება ხელით შრომის გამოყენება ჩვილი ფესვებიდან სარეველა ბალახების გამოსაცლელად. ჩვენს შემდგომ მუშაობაში აუცილებლად უნდა დავნერგოთ მზრალად ხნულის სამჯერ კულტივაცია თესვის წინ, როგორც ამას მანუკოვსკის გამოცდილება გვიჩვენებს.

მთავარი სიახლე, რაც მათ სათეს მანქანაში შეიტანეს ის არის, რომ მექანიკურად წარმოებს საზომი მავთულის გადატანა. ამან კი საშუალება მისცა კოლმეურნეობას დაეზოგა შრომითი დანახარჯები სიმინდის მოყვანის სამუშაოებში და გაედიდებინა მოსავლიანობა. თუ 1955 წელს თვითეულ სათესს 8-9 კაცი ემსახურებოდა და საზომი მავთულის გადატანა ხელით ხდებოდა, რაც დიდ დროს მოითხოვს, ახლა სათეს მანქანას ორი კაცი ემსახურება.

* * *

კვადრატულ-ბუდობრივი თესვის პროგრესული მეთოდის გულდასმით გაცნობის შემდეგ მანუკოვსკის ვთხოვე გაეზიარებინა თავისი გამოცდილება კომპლექსური მექანიზაციით სიმინდის დამუშავებასა და აღებაზე.

სიმინდის ნაკვეთს რიგთა შორის სამჯერ დავამუშავებთ ხოლმე ჯვარედინად. პირველ კულტივაციას დაბალი სისწრაფით ვაწარმოებთ, როცა სარეველა ბალახები კარგად არ არის განვითარებული. კულტივატორის ჩქარი მუშაობის დროს სარეველა ბალახებს მთლიანად ვერ ვსპობთ. მეორე კულტივაციას კი მესამე სიჩქარით ვაწარმოებთ. პირველ კულტივაციას გარდიგარდმო მიმართულებით ვატარებთ. ტრაქტორისტი უკეთ ხედავს კვადრატების რიგებს, რაც საშუალებას გვაძლევს დიდი რაოდენობით შევინარჩუნოთ სიმინდის მცენარეები. პირველი კულტივაცია ტარდება 8-10 სანტიმეტრის სიღრმეზე, მეორე და მესამე — 5-7 სანტიმეტრზე. სასიმინდე ნაკვეთის ასეთმა დამუშავებამ მთლიანად უნდა მოსპოს სარეველა მცენარეები და ხელი შეუწყოს სიმინდის სწრაფ ზრდა-განვითარებას.

— სიმინდი ჭყინტლ და ოდომ მდგომარეობაში ავიღეთ „სკ-2,6“ მარკის კომბაინით. ოთხი რიგის აღებით კომბაინის წარმადობის გაზრდის მიზნით 2,6 მეტრიდან 2,8 მეტრამდე გავადიდეთ საჭრელი ცელის სიგანე. მუშაობის დროს კომბაინი 10-15 სანტიმეტრის სიმაღლის სიმინდს ტოვებდა. ჩვენ გადავაკეთეთ კომბაინი, დავიყენეთ დაბალ ჭრაზე, რამაც უზრუნველყო მოსავლის უდანაკარგოდ აღება. გეგმით გათვალისწინებული 4 ჰექტარის ნაცვლად სიმინდის მწვანე მასას 6-7 ჰექტარზე ვიღებდით ყოველდღიურად.

სიმინდის კულტურის დამუშავებაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვამ ბევრი შრომადღე დაუზოგა კოლმეურნეობას, შეამცირა თვითღირებულება და გაზარდა მოსავლიანობა.

იმ ნაკვეთებში, სადაც პირველად დანერგილ იქნა კომპლექსური მექანიზაცია, თვითეული ტონა სილოსის თვითღირებულება 47 მანეთსა და 80 კაპიკს შეადგენდა, 1958 წელს — 23 მანეთსა და 60 კაპიკამდე დავიდა, 1959 წელს — 19 მანეთამდე. სიმინდის ასეთი წესით დამუშავებამ კოლმეურნეობას 348 ათასი მანეთი დაუზოგა სამი წლის განმავლობაში.

* * *

მეგობრული საუბარი, რომელიც სახელოსნოში წარმოებდა, დიდხანს გაგრძელდა... საუბრის დროსაც არ კარგავდა დროს მანუკოვსკი. ის რემონტზე მუშაობდა, ზოგჯერ კი ტრაქტორისტებს ეხმარებოდა, ასწავლიდა, ამოწმებდა მათს ნამუშევარს, ზოგს უწონებდა, ზოგს მითითებას აძლევდა. ვთხოვე სათეს მანქანასთან მივეყვანე და რამდენიმე კითხვა დავუსვი.

— ნაკვეთის ბოლოს სათესის მობრუნების დროს მავთულის მექანიკურად გადატანას სწორად ვერ ვახერხებთ, კვადრატები გვერევა. გთხოვთ გამაგებინოთ, რა არის ამის მიზეზი? — შევეკითხე და ხელით მოვუხაზე მიწაზე მთელი ეს პროცესი.

მან გაიღიმა, წელში გაიმართა და მიპასუხა:

— ამას სათესის წონასწორობის დარღვევა იწვევს. თესვის წინ სათესი ყოველმხრივ უნდა შეამოწმოთ. ახლა რომ თესვა მიმდინარეობდეს, უფრო თვალნათლივ გაჩვენებდით.

ნიკოლოზ მანუკოვსკი, მეღორეობის ფერმის მექანიზატორი მიხეილ ლესნიხი და გიორგი თინაშვილი.

★ ★

ჩემთვის ბევრი რამ გაუგებარი იყო, და ყოველ კითხვაზე დამაჯერებლად მიპასუხა მანუკოვსკიმ. მე მადლობა გადავუხადე სახელოვან ნოვატორს.

დავინტერესდი მესაქონლეობის ფერმებში მექანიზაციის გატარების საკითხებითაც და ვთხოვე მისი თანდასწრებით დამეთვალიერებინა მეღორეობის სასუქი ფერმა, სადაც, როგორც გადმომცეს, ყველა სამუშაო მანქანებით სრულდება.

ვინახულეთ ფერმა, რომელიც რამდენიმე სადგომისაგან შედგება. ერთ სადგომში მოთავსებულია ავტოსაკვებურები. აქ გასასუქებელი ღორები თავისუფლად შედიან საჭმლის მისაღებად, რის შემდეგ ღია მოედანზე გადიან, აქედან დასასვენებლად და დასაბინავებლად მიემართებიან სპეციალურ სადგომში.

ღორების საკვებად მოტანილ ჭარხალსა და კარტოფილს საამისოდ მოწყობილ ორმოში ყრიან. სპეციალური მილების საშუალებით ხდება ამ საკვების დაორთქლება, შემდეგ ელევატორით გადააქვთ სარეცხ ქვაბში, ბოლოს კი სპეციალური მანქანა კუწავს და გადადის ამრევ ქვაბში. მეორე მხრიდან კვლავ ელევატორით მიემართება სილოსი საკუწავ მანქანაში და სხვა საკვებთან ერთად გადადის მოსამზადებელ ქვაბში, აქედან გამანაწილებელში.

მეღორეობის ფერმაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვამ საშუალება მისცა კოლმეურნეობას ერთდროულად გაასუქოს სამი ათასი ღორი და შეამციროს თვითეული ცენტნერი ხორცის თვითღირებულება. თუ 1959 წელს ყოველი 10 კილოგრამი ხორცის მატებაზე ერთნახევარი შრომადღე იხარჯებოდა, წელს საკმარისია ნახევარი შრომადღე.

ვთვალიერებდი ფერმას და ვფიქრობდი: რა კარგად უმუშავნიათ მექანიზატორებს, რა დიდებული საქმე გაუკეთებიათ. თუ ჩვენც ასე მოვაწყობთ ფერმას, დიდად გავადიდებთ ხორცის წარმოებას, ვაწარმოებთ იაფ ხორცს.

აღნიშნული წარმატებებით არ კმაყოფილდება ნიკოლოზ მანუკოვსკი და მისი ბრიგადა. ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტის პარალელურად მიმდინარეობს მერძევეობის ფერმის მექანიზაციაც. მექანიზატორებმა ვალდებულება აიღეს მაისის ბოლოს საექსპლოატაციოდ გადასცენ სრული მექანიზებული ფერმა.

* * *

მანუკოვსკისთან საუბრისა და ფერმის დათვალიერების შემდეგ ნოვაია უსმანის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. რეჟანსენკომ რაიკომში მიგვიწვია. მან მოიწონა ჩემი გადაწყვეტილება მანუკოვსკისთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ. მანუკოვსკი, რომელსაც აჩქარება არ უყვარს რაიმე საკითხის გადაწყვეტის დროს, დამეთანხმა. ჩვენ გავაფორმეთ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, ვიკისრეთ კონკრეტული ვალდებულებანი. ვალდებულება ავიღე, რომ — **კომპლექსური მექანიზაციის პროგრესული მეთოდით დავამუშაო 150 ჰექტარი სიმინდი და თვითეულ ჰექტარზე მივიღო 400 ცენტნერი მწვანე მასა და 28 ცენტნერი მარცვალი, ჰექტარზე მივიღო 16 ცენტნერი მზესუმზირა, 26 ცენტნერი საშემოდგომო მარცვლეული, და გავატარო კომპლექსური მექანიზაცია მეცხოველეობის ფერმებში.**

მანუკოვსკიმ იკისრა:

სიმინდის 450 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 350 ცენტნერი მწვანე მასა, მარცვლად კი 30 ცენტნერი, 14 ცენტნერი მზესუმზირა, 21 ცენტნერი საშემოდგომო მარცვლეული, წელს უზრუნველყოს როგორც მინდვრად, ისე მეცხოველეობის ფერმებში ყველა შრომატევადი სამუშაოს კომპლექსური მექანიზაცია.

მეორე დღეს მანუკოვსკიმ თავის ოჯახში მიმიწვია. იგი სიამაყის გრძნობით მიჩვენებდა სურათებს, რომლებიც მას გადაღებული აქვს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვთან, ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან. აღფრთოვანებით მიამბო თავის მონაწილეობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მუშაობაში.

— როდის შეისწავლეთ ტრაქტორისტობა? — შევეკითხე მანუკოვსკის.

— 16 წლისა ვიყავი, როცა გადავწყვიტე დავუფლებოდი ტრაქტორისტის პროფესიას. ეს იყო 1942 წელს. მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა. ფაშისტები აჩანაგებდნენ ყველაფერს დროებით დაპყრობილ მიწაზე. მამაცები ფრონტზე იბრძოდნენ, მტერს ულმობლად ანადგურებდნენ. მუშახელი აკლდა მეურნეობას. და აი მეც გადავწყვიტე სამუშაოსთვის მომეკიდა ხელი. ტრაქტორისტის პროფესია ავირჩიე და, როგორც ხედავთ, არ მოვტყუვდი, დფასდა ჩემი შრომა, მიპასუხა მანუკოვსკიმ.

რას იფიქრებდა 16 წლის ნიკოლოზი, რომ მისი თავდადებული შრომა მისაბაძი გახდებოდა. სამშობლომ ღირსეულად დააფასა ამაგდარი მექანიზატორის თავდადება და მას სოციალისტური შრომის გმირის სპატიო წოდება მიანიჭა. ვაუკაცის ფართო მკერდს ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი ამშვენებს. მან გმირობა დაძაბული შრომით მოიპოვა. ამაყობენ მისი თანასოფლელები და თანამოსაქმენი. ამაყობს ჩვენი სამშობლო, რომელსაც ჰყავს ასეთი თავდადებული ადამიანები.

მადლობა გადავუხადე მანუკოვსკის მუშაობის გამოცდილების გაზიარებისათვის, გულთბილად დავემშვიდობე, პირობა მივეცი ვიმუშაო ისე, როგორც ის მუშაობს.

მანუკოვსკის გამოცდილება დიდად დამეხმარება მუშაობაში. შევეცდები მისი მაგალითისამებრ მოვაწყო შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მ ე ქ ა ნ ი ზ ა ცია ჩვენს კოლმეურნეობაში. დავრაზმავ ჩვენს ბრიგადას იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას, შევამციროთ მათი თვითღირებულება.

გიორგი თინაშვილი,

წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოს კალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.

გიორგი თინაშვილი

300 **გიორგი** თინაშვილმა მანუკოვსკის მაგალითისამებრ 1959 წელს სრული კომპლექსური მექანიზაციით 130 ჰექტარზე დაამუშავა თავთავიანი კულტურები და სიმინდი და ჰექტარზე მიიღო თავთავიანი კულტურების მოსავალი — 20 ცენტნერი, სიმინდის მწვანე მასა — 300 ცენტნერი, მარცვლად — 22 ცენტნერი.

მომდინარე წელს თინაშვილმა იკისრა ვალდებულება კომპლექსური მექანიზაციით დაამუშაოს როგორც თავთავიანი კულტურები, ისე სიმინდის, მზესუმზირას და ჭარხლის ნათესები, ჰექტარზე მიიღოს სიმინდის მწვანე მასა 400 ცენტნერი და მარცვალი — 28 ცენტნერი, შემოდგომის მარცვლეული—26 და მზესუმზირა — 16 ცენტნერი, მეცხოველეობის ფერმებში უზრუნველყოს კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა.

400



წითელწყაროელი მექანიზატორი გიორგი თინაშვილი, კოლმეურნეობის მთავარი ინჟინერი ალექსი არალოვი და ნიკოლოზ მანუკოვსკი საუბრობენ თესვის დროს საზომი მავთულის მექანიკურად გადატანის შესახებ.

ფოტო ა. ჩერნიავსკისა.

„დაისს" მოისმენს მსოფლიო

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზს სიმღერა ეფინება.

— არა, არა, უფრო ლაღად! — გაისმის ხმა, სიმღერა წამით შეწყდება და მომღერალი კვლავ თავიდან იწყებს. უკრავს ოპერისა და ბალეტის სიმფონიური ორკესტრი... დირიჟორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვახტანგ ფალიაშვილი.

აპარატთან საკავშირო ხმისჩამწერი სტუდიის რეჟისორი ნ. შტილმანი ზის, იქვე ტრიალებენ მისი ასისტენტი თ. ჩერნოვა და ოპერატორი ი. ჟივოვი.

... კიაზოს პარტიას საქართველოს სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი დავით გამრეკელი მღერის, ცანგალა ახალგაზრდა მომღერალი თენგიზ მუშკუდიანი, მალხაზი — თენგიზ ზაალიშვილი, მარო — მედეა ამირანაშვილი. ზუსტად ორ კვირას მოუნდნენ ქართული კლასიკური ოპერის — ზაქარია ფალიაშვილის „დაისის" ჩაწერას. მალე მთელ მსოფლიოს მოედება ხანგრძლივად დამკვრელი ფირფიტები და ფალიაშვილის მუსიკა მილიონთა გულამდე მიაღწევს.

— დღემდე ამ სახით „დაისი" ჩაწერილი არ ყოფილა, — თქვა რეჟისორმა ნ. შტილმანმა, — ქართული მუსიკის ბევრ მოყვარულს არ ჰქონდა საშუალება მთლიანად მოესმინა ეს შესანიშნავი ოპერა.

გარდა „დაისისა", საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის შესრულებით ჩავწერეთ მერი დავითაშვილის სიუიტა ბალეტ „მზის ქორწილიდან", რევაზ ლაღიძის „საჭიდაო" (დირიჟორი ჯემალ გოკიელი), ბიძინა კვერნაძის „ფანტაზია" (დირიჟორი ზაქარია ხუროძე), ხოლო საქართველოს რადიოს სიმფონიური ორკესტრის შესრულებით — გრიგოლ კილაძის „ქართული სიუიტა" (დირიჟორი ლილე კილაძე). ჩავიწერეთ აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო კაპელის შესრულებით პოპულარული ქართული სიმღერები. ერთი სიტყვით, უნდა ითქვას, რომ მეტად ნაყოფიერად ვიმუშავეთ. რაც შეეხება ჩაწერის ხარისხს, ამაზე ალბათ ერთხელ კიდევ იმსჯელებენ ჩვენს სტუდიაში... ეს ერთი თვე პირადად ჩემთვის დაუვიწყარი იქნება. მიუხედავად დაძაბული მუშაობისა, ერთი წუთითაც არ მიგვრძნია დაღლა, უწინარეს ყოვლისა მშვენიერი ქართული მუსიკის წყალობით...

გ. წიკლაური.

* * *

სურათებზე: ოპერა „დაისის" ჩაწერაზე. ზემოთ — თენგიზ მუშკუდიანი, დავით გამრეკელი და ვახტანგ ფალიაშვილი; ქვემოთ — რეჟისორი ნ. შტილმანი და ხმის ოპერატორი ი. ჟივოვი აწარმოებენ „დაისის" ჩაწერას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

კალათბურთელთა ასპარეზობა

მეოთხე დღე

ბაქო. 5 თებერვალი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). დღეს აქ სტალინის სახელობის რესპუბლიკური სტადიონის სპორტულ დარბაზში გაიმართა მხოლოდ ერთი შეხვედრა ბაქოს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და თბილისის „ბურევესტნიკის" კალათბურთელთა გუნდებს შორის. დანარჩენი გუნდები ისვენებდნენ.

თამაში მაღალი ტემპით დაიწყო. უპირატესობა ხან ერთ, ხან მეორე გუნდის მხარეზე იყო, მაგრამ როგორც წინა თამაშებში, მალე თავი იჩინა თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდის სისუსტემ მაღალი ბურთისათვის ბრძოლაში. მასპინძლების სამი მაღალი ტანის სპორტსმენის უპირატესმა ბრძოლამ ფარქვეშ გადაწყვიტა შეხვედრის ბედი.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს მოწინააღმდეგეს, 35-ე წუთისათვის ანგარიშში განსხვავება ოთხი ქულით განისაზღვრებოდა ბაქოელთა სასარგებლოდ. მასპინძლებმა მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა. მატჩი დამთავრდა ბაქოელთა გამარჯვებით ანგარიშით 86 : 67

დღეს ჩატარდა აგრეთვე შეჯიბრება საჯარიმო სროლების უკეთ შესრულებაში. გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა თბილისის „ბურევესტნიკმა". მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის „დინამო", მესამეზე — მოსკოვის „დინამო". პირად ჩათვლაში თბილისის „დინამოს" კაპიტანმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. კილაძემ პირველი ადგილი დაიკავა.

6 თებერვალს გაიმართება მორიგი მატჩები.

ტარტუს ტური

ტარტუ. 5 თებერვალი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). სასპორტო დარბაზი, სადაც კალათბურთელ ქალთა ასპარეზობა მიმდინარეობს, ყოველდღიურად სავსეა სპორტის მოყვარულებით.

გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები. წარმატებით იბრძვიან რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტისა და ტარტუს უნივერსიტეტის სასპორტო კლუბის გუნდები, რომლებსაც დღემდე გამართულ შეხვედრებში არც ერთი მატჩი არ წაუგიათ.

შეხვედრათა მესამე დღეს რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის კალათბურთელი ქალები თამაშობდნენ კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან. ასპარეზობის პირველი წუთებიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს რიგელებმა და პირველობის გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერეს. მატჩის ანგარიშია 57:36.

ინტერესს იწვევს ტარტუს კალათბურთელთა ტემპიანი და კოლექტიური ბრძოლა. შეჯიბრების მესამე დღეს მასპინძლები შეხვდნენ დონის როსტოვის „ბურევესტნიკს". მიუხედავად იმისა, რომ როსტოველებმა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, მაინც წააგეს მატჩი 46:53.

პირველი დამარცხების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები სათანადო დასკვნას გააკეთებდნენ, მაგრამ ეს არ მოხდა, მათ მეორე დამარცხება განიცადეს კიევის „დინამოსთან" 57:61.

ამრიგად, სამი დღის ასპარეზობის შემდეგ რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტისა და ტარტუს უნივერსიტეტის სასპორტო კლუბის გუნდებს სამ-სამი ქულა აქვთ.

სკვო ველისაკენ

მალე ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ლამაზ კუთხეში — სკვო ველში დაიწყება ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობა, ანუ „თეთრი ოლიმპიადა". სკვო ველის საუკეთესო სასპორტო ბაზებზე მოეწყობა უძლიერესთა შეხვედრები სათხილამურო გადარბენაში, ორჭიდში, სწრაფდაშვებაში, სლალომში, ტრამპლინიდან ხტომასა და სხვა სახეობებში.

ახლა, სკვო ველში იმყოფება პირველობისათვის მებრძოლი ქვეყნების ნაკრები გუნდების უმრავლესობა. აქ გადიან წვრთნას, აწყობენ ამხანაგურ შეხვედრებს. ზამთრის ოლიმპიურ ასპარეზობაზე დიდი ინტერესით მოელიან სსრ კავშირის სპორტსმენებს, რომლებიც საპრიზო ადგილების პრეტენდენტები არიან.

პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ საბჭოთა კავშირის მოციგურავე ქალები, რომლებმაც ახლახან დამთავრებულ ევროპის პირველობის გათამაშებაში პირველი ადგილები დაიკავეს. სსრ კავშირის მოციგურავე ქალთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შედიან ვ. სტენინა, თ. რილოვა, ლ. სკობლიკოვა, ქ. გუსევა, ნ. დონჩენკო.

სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდი თავის რიგებში ექვს ათეულზე მეტ სპორტსმენს აერთიანებს. გუშინ ჩვენი ქვეყნის მოთხილამურეები და მოციგურავე ქალები სკვო ველში გაემგზავრნენ.

XXVII ჩემპიონატი

შვიდი ტურის შემდეგ

ლენინგრადი. 5 თებერვალი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). დღეს მოეწყო საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება.

ორ გადადებულ პარტიაში — ე. გუფელდ-ლ. პოლუგაევსკი და ი. სახაროვ-დ. ბრონშტეინი ბრძოლის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. ე. გელერ-ლ. პოლუგაევსკის პარტიაში მძაფრი ბრძოლის შემდეგ 54-ე სვლაზე ფიქსირებულ იქნა ყაიმი. ა. სუეტინ-დ. ბრონშტეინის პარტია კვლავ გადაიდო. ამ შეხვედრაში მოსალოდნელია ყაიმი.

ორი გროსმაისტერის მ. ტაიმანოვისა და ი. ავერბახის ბრძოლა გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმწვავით, მაგრამ 96-ე სვლაზე მეტოქეები იძულებული იყვნენ დაკმაყოფილებულიყვნენ ყაიმით. ი. ავერბახმა კარგად გამოიყენა პოზიციური და მატერიალური უპირატესობა ი. სახაროვთან გადადებულ პარტიაში და გამარჯვებას მიაღწია. ვ. ლიბერზონმა დაამარცხა ლ. შამკოვიჩი, ვ. კორჩნოიმ — ლ. შამკოვიჩი, ე. გულფელდმა — ვ. ლიბერზონი.

ი. ნეი-დ. ბრონშტეინის პარტია არ შემდგარა. ვ. სმისლოვ-ტ. პეტროსიანის პარტია გვიანამდე გრძელდებოდა.

[illegible] გროსმაისტერი ტ. პეტროსიანი, რომელსაც 4,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. ვ. კორჩნოისა და ნ. კროგიუსს ოთხნახევარ-ოთხნახევარი ქულა აქვთ, ლ. პოლუგაევსკის, ვ. სიმაგინსა და მ. ტაიმანოვს — ოთხ-ოთხი ქულა.

6 თებერვალს შედგება მერვე ტური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამაზი ეტიუდი

[illegible] სპორტული ჟურნალის „სპორტ-რევიუს" მიმდინარე წლის პირველ ნომერში დაბეჭდილია ცნობილი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორის გ. ნადარეიშვილის ეტიუდი, რომელიც დაწვრილებით არის გარჩეული და დასათაურებულია — „ლამაზი ეტიუდი". ამ ეტიუდმა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" კონკურსზე პირველი პრიზი დაიმსახურა.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 73-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1960 წლის 30 იანვარს ქალაქ მოსკოვში.

მოგება ხვდა სესხის ცამეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000532	1—50	400	036754	1—50	400	065296	1—50	1.000
000539	1—50	400	036989	1—50	400	065724	30*)	5.000
002064	1—50	400	037623	1—50	400	066128	10*)	5.000
003875	10*)	5.000	037799	22*)	5.000	066437	1—50	1.000
003882	18*)	5.000	038076	25*)	5.000	066702	11*)	10.000
006037	31*)	10.000	038349	11*)	5.000	066745	22*)	5.000
007395	1—50	1.000	038415	1—50	400	067372	09*)	5.000
008299	35*)	5.000	038923	1—50	400	067558	45*)	10.000
008376	1—50	400	039068	1—50	400	067686	33*)	5.000
008380	33*)	5.000	039251	47*)	10.000	068903	49*)	5.000
009031	26*)	5.000	039434	1—50	400	069108	40*)	5.000
009217	07*)	5.000	039703	42*)	5.000	069300	12*)	10.000
012443	30*)	5.000	040128	1—50	1.000	070027	07*)	5.000
012565	26*)	10.000	041051	40*)	5.000	071279	16*)	10.000
012574	41*)	10.000	042784	25*)	25.000	072000	38*)	5.000
014848	25*)	5.000	042937	1—50	1.000	072852	33*)	5.000
015523	1—50	400	043161	40*)	25.000	073872	20*)	10.000
015708	04*)	5.000	043666	06*)	10.000	075055	1—50	400
016367	1—50	400	044538	1—50	400	075953	36*)	5.000
016402	1—50	400	044845	1—50	400	076403	31*)	5.000
017257	1—50	400	045284	30*)	5.000	076409	31*)	10.000
017419	1—50	400	045321	09*)	25.000	077524	1—50	400
017928	27*)	10.000	045531	1—50	400	078229	05*)	5.000
018029	16*)	5.000	045879	1—50	400	078903	50*)	10.000
018061	1—50	400	046838	48*)	5.000	079462	22*)	5.000
018143	1—50	1.000	047510	09*)	10.000	080398	1—50	400
018199	39*)	5.000	048974	05*)	10.000	080468	1—50	400
018320	1—50	400	049628	1—50	1.000	082203	18*)	5.000
018973	16*)	5.000	050040	25*)	5.000	082228	45*)	25.000
019322	05*)	10.000	050938	1—50	400	082544	1—50	400
019420	1—50	400	051396	38*)	5.000	085334	1—50	400
019990	23*)	5.000	051707	39*)	5.000	085737	29*)	5.000
020715	20*)	5.000	052182	30*)	5.000	087068	1—50	400
021379	1—50	400	052247	20*)	5.000	087264	1—50	400
022244	33*)	5.000	052450	36*)	10.000	088060	05*)	5.000
022586	22*)	50.000	053760	34*)	5.000	088195	29*)	5.000
023525	25*)	5.000	054171	12*)	10.000	089236	25*)	5.000
023776	42*)	5.000	055794	21*)	5.000	089604	1—50	1.000
024260	1—50	400	056159	12*)	5.000	090645	06*)	10.000
024440	50*)	5.000	056244	34*)	5.000	092810	07*)	5.000
024786	35*)	5.000	056366	35*)	5.000	093108	25*)	5.000
029203	1—50	400	056529	23*)	5.000	093729	28*)	5.000
029399	10*)	10.000	057280	12*)	25.000	094470	1—50	400
030282	1—50	400	057929	1—50	1.000	095172	19*)	5.000
030661	17*)	5.000	058384	33*)	5.000	095680	37*)	10.000
031273	1—50	1.000	058759	39*)	5.000	096218	45*)	5.000
031552	14*)	5.000	058830	02*)	5.000	096777	48*)	10.000
031621	33*)	10.000	058932	1—50	400	097165	43*)	5.000
032618	44*)	5.000	059528	1—50	400	097743	02*)	10.000
032657	49*)	5.000	060017	1—50	1.000	098111	1—50	400
032848	1—50	400	060591	44*)	5.000	098176	28*)	5.000
033037	05*)	5.000	061295	18*)	5.000	098251	1—50	1.000
033537	50*)	10.000	062166	12*)	5.000	098801	42*)	5.000
034198	35*)	5.000	062681	1—50	400	098963	1—50	400
034392	1—50	1.000	062863	33*)	5.000	099418	1—50	400
035202	1—50	1.000	064762	26*)	50.000	099812	11*)	5.000
036053	03*)	5.000	064776	29*)	5.000			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 400 მანეთი მოგება თითოეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ორასმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.
ასმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.
მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლითაც შემნახველი სალაროები აწარმოებენ მოგებათა გაცემას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ქალაქ მოსკოვის საბჭოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ვ. ბუდანცევი.**

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ლ. ა. ვასილიევა.**

ყოველი მხრიდან

საზღვარგარეთ

⊙ პრეზიდენტი გრონკი სსრ კავშირში გაემგზავრა. ⊙ ოფიციალური მიწვევა. ⊙ მშვიდობისათვის დედამიწაზე. ⊙ მდგომარეობა ალჟირში. ⊙ ამერიკული რაკეტა ორბიტაზე ვერ გავიდა. ⊙ ჟაკ სუსტელი გადადგა.

კეთილი ნების ვიზიტით

დელი, 5 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ ნეპალიდან დაბრუნდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. ა. ფურცევა და მათი თანმხლები პირნი.

ა. ი. მიქოიანი კუბაში ჩავიდა

ჰავანა, 5 თებერვალი. (საკდესი). გუშინ 4 საათსა და 6 წუთზე ადგილობრივი დროით კუბის რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით „ილ-16" თვითმფრინავით ჰავანას ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი. აეროდრომზე ა. ი. მიქოიანსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ კუბის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო, კუბის მთავრობის წევრები, წინადღით ჰავანას ჩამოსული სსრ კავშირის ელჩი მექსიკაში ვ. ი. ბაზიკინი, კუბის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დღეს ა. ი. მიქოიანი კუბის დედაქალაქში გახსნის სსრ კავშირის მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგის მიღწევათა გამოფენას.

ჰავანა, 5 თებერვალი. (საკდესი). 4 თებერვალს საღამოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა ვიზიტი გაუკეთა კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტს ოსვალდო დორტიკოსს. ა. ი. მიქოიანსა და ოსვალდო დორტიკოსს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

რომი, 5 თებერვალი. (საკდესი). დღეს რომიდან საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯოვანი გრონკი.

გაფრენის წინ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი „მოგზაურობა შეიძლება დახასიათდეს როგორც კეთილი ნების ვიზიტი". „მთავრობა და მე, — თქვა მან, — დარწმუნებული ვართ, რომ ყველამ, თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ მომავალში ნაკლები იყოს ღრუბლები და ნაკლები იყოს საფრთხე".

პრეზიდენტი გრონკი ღამეს გაათევად დარჩება კოპენჰაგენში და მოსკოვში ჩავა 6 თებერვალს.

პარიზი, 4 თებერვალი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, მძიმემანქანათმშენებლობის „ფივ-ლილის" (ქალაქ ლილის ახლოს) საწარმოთა ადმინისტრაციისა და მუშების წარმომადგენელთა გაერთიანებულმა კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან შრომის საყოველთაო კონფედერაციის, „საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციის" და ფორს უვრიერის" წევრები, ერთხმად გადაწყვიტა გაუგზავნონ საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვს ოფიციალური მიწვევა, რათა ესტუმროს ამ საწარმოებს საფრანგეთში ვიზიტის დროს.

ბუქარესტი, 5 თებერვალი. (საკდესი). რუმინელი ხალხი დიდი მოწონებით შეხვდა კომუნიკეს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის შესახებ, აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაციას.

გაზეთები „სკინტეია", „რომინია ლიბერა", „მუნკა", „სკინტეია ტინერეტულუი", „სტიაგულ როშუ" და სხვები პირველ გვერდზე დიდი სათაურით აქვეყნებენ ამ დოკუმენტების სრულ ტექსტს. გაზეთები ბეჭდავენ აგრეთვე ანგარიშს დეკლარაციის ხელმოწერისა და დარბაზობის შესახებ, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამართეს თათბირის მონაწილეთა პატივსაცემად.

კომუნიკე და დეკლარაცია დღეს გადასცა ბუქარესტის რადიომ.

პარიზი, 5 თებერვალი. (საკდესი). როგორც ფრანს-პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ალჟირიდან იუწყება, აქ დაშალეს შემდეგი ულტრაკოლონიალისტური ორგანიზაციები: „საფრანგეთის ეროვნული ფრონტი", „13 მაისის სახალხო მოძრაობა", მოძრაობა კორპორატივიზმისათვის, სტუდენტთა ეროვნული მოძრაობა, „დახმარება და დაცვა", ეროვნულ მოძრაობათა საკოორდინაციო კომიტეტი.

ამავე დროს კორესპონდენტი, იმოწმებს რა ოფიციალურ წრეებს, იუწყება, რომ ალენ დე სერინი და პროფაშისტური ორგანიზაციების სხვა ხელმძღვანელები ფერალი, ლეფევრი, პარაშინი, შამბილი და კიდევ ოთხი კაცი შინაპატიმრობაში იმყოფებიან.

აგრეთვე ოფიციალური წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ეროვნული უშიშროების ხელმძღვანელი პოლკოვნიკი გოდარი აღარ ასრულებს თავის ფუნქციებს.

ნიუ-იორკი, 5 თებერვალი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, გუშინ ვანდენბერგის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზიდან, კალიფორნიაში, სცადეს დედამიწის ახალი ამერიკული ხელოვნური თანამგზავრის გაშვება.

მაგრამ რაკეტამ ვერ განავითარა ორბიტაზე გასვლისათვის საჭირო სიჩქარე და დედამიწის ატმოსფეროში დაბრუნდა.

პარიზი, 4 თებერვალი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება: დღეს დილით პრემიერ-მინისტრთან მყოფი მინისტრი ჟაკ სუსტელი ესაუბრა რესპუბლიკის პრეზიდენტს დე გოლს. ამ საუბრის შემდეგ ჟაკ სუსტელი გავიდა მთავრობის შემადგენლობიდან.

მაკმილანი: მშვიდობა რუსეთთან!

ლონდონი, 4 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კეიპტაუნიდან (სამხრეთ აფრიკის კავშირი) იუწყება, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა, რომელიც აფრიკის კონტინენტის ქვეყნებში მოგზაურობს, 3 თებერვალს სიტყვა წარმოთქვა სამხრეთ აფრიკის პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე.

შეეხო რა საერთაშორისო ვითარებას, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ დასავლეთის ქვეყნებმა „უნდა იცხოვრონ მშვიდობიანად რუსეთთან და გამონახონ ამის გზა". ამასთან დაკავშირებით მან მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ მის მოგზაურობას საბჭოთა კავშირში შარშან კარგი შედეგები მოჰყვა. თუმცა მომავალში დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობაში „შეიძლება წარმოიშვას სერიოზული სიძნელენი, — თქვა მაკმილანმა, — დარწმუნებული ვარ, რომ პირადი კონტაქტების გაფართოებას, სავაჭრო ურთიერთობასა და მოქალაქეთა ურთიერთ მოგზაურობას მხოლოდ სარგებლობა თუ მოჰყვება".

გაითვალისწინა რა, რომ აფრიკის მკვიდრი მოსახლეობა აღშფოთებულია სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობის რასისტული პოლიტიკით, პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა განაცხადა, რომ არ ეთანხმება მეთოდებს, რომლებსაც სამხრეთ აფრიკის კავშირის ხელისუფლები იყენებენ სამხრეთ აფრიკის კავშირის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ. მან დამსწრეთ აგრძნობინა, რომ აფრიკის ხალხთა საერთო გამოღვიძების ფონზე ასეთი პოლიტიკა დამღუპველია თვითონ თეთრკანიანი მოსახლეობისათვის. „მოგწონს ეს თუ არა, — განაცხადა მან, — ეროვნული თვითშეგნების ზრდა პოლიტიკური ფაქტია, რომელიც ჩვენ ყველამ უნდა ვაღიაროთ".

მაკმილანმა შიში გამოთქვა იმის გამო, რომ აფრიკის ხალხებმა შეიძლება ზურგი შეაქციონ დასავლეთს და დაადგნენ კომუნიზმის გზას. „ჩემი აზრით, — თქვა მან, — უმნიშვნელოვანესი საკითხი ის არის, თუ საით გადაიხრებიან აზიისა და აფრიკის ამჟამად განზე მდგომი ხალხები — აღმოსავლეთისაკენ, თუ დასავლეთისაკენ... შერკინება დაიწყო — შერკინება ადამიანთა შეგნებისათვის".

მაკმილანმა ამასთანავე ხაზი გაუსვა, რომ ინგლისსა და სამხრეთ აფრიკის კავშირს შორის „მეგობრული ურთიერთობაა". პრემიერ-მინისტრმა დაძრახა სამხრეთ აფრიკის კავშირის საქონლის ბოიკოტის კამპანია, რომელსაც ახლა ინგლისში აწარმოებენ სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობის რასისტული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

საბჭოთა დელეგაცია ამერიკაში

მაიამი, 5 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი გ. ბოკაჩოვი იუწყება: მზიური მაიამის სტუმართმოყვარე მცხოვრებნი გუშინ გულღიად შეხვდნენ საბჭოთა ხალხის წარმოგზავნილებს, სსრ კავშირის სახელმწიფო მოღვაწეთა დელეგაციის წევრებს. დილით საბჭოთა სტუმრებმა ვერტმფრინავებით და ლიმუზინებით გაისეირნეს, ეწვივნენ ერთ-ერთ ადგილობრივ სკოლას, გაეცნენ ქალაქ მაიამის ღირსშესანიშნაობანი.

მაიამის მცხოვრებთ აინტერესებთ საბჭოთა ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარე. ისინი სსრ კავშირიდან ჩამოსულ სტუმრებს ეკითხებიან განათლების დაყენებაზე საბჭოთა კავშირში, საბჭოთა ხელოვნებაზე, სსრ კავშირის ეკონომიკის სწრაფი განვითარების მიზეზებზე, სამედიცინო მომსახურებაზე სსრ კავშირში და სხვ. ბევრი კითხულობს, როდის განახორციელებენ საბჭოთა მეცნიერები რაკეტის მორიგ გაფრენას მთვარეზე. ზოგიერთი კითხვა მოწმობს, რომ ამერიკელები ნაკლებ არიან ინფორმირებულნი საბჭოთა კავშირში ნამდვილი მდგომარეობის შესახებ. სტუმრები დაწვრილებით უპასუხებენ ყველა საკითხზე და თავიანთ მხრივ მოსაუბრეებს ეკითხებიან შეერთებული შტატების ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე. საბჭოთა ხალხის წარმოგზავნილთა საუბრები მაიამის მცხოვრებლებთან განსაკუთრებით მეგობრული ხასიათისაა.

დღისით მაიამის პირველი ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმა დიდი დარბაზობა მოაწყეს საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად.

დამთავრდა იტალიის კომპარტიის ყრილობა

რომი, 4 თებერვალი. (საკდესი). დღეს დამთავრდა იტალიის კომუნისტური პარტიის IX ყრილობა. იტალიის კომუნისტების ორმილიონიანი არმიის წარმომადგენლები ექვს დღეს განიხილავდნენ საზოგადოების დემოკრატიული განახლების, სოციალიზმისაკენ წინსვლისათვის ბრძოლაში კომუნისტური პარტიის ამოცანების საკითხს.

გუშინდელ სხდომაზე ყრილობის დელეგატებმა ერთხმად მოიწონეს პრეზიდენტ გრონკისადმი მისასალმებელი წერილის ტექსტი, გამოთქვეს სურვილი, რომ პრეზიდენტის მომავალ მოგზაურობას სსრ კავშირში და მის შეხვედრებს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან და ხალხთან მოჰყვეს ნაყოფიერი შედეგები იტალიისათვის და მშვიდობის საქმისათვის.

შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა პალმირო ტოლიატიმ.



ინდოეთის რესპუბლიკა. დელი. პარლამენტის შენობა.

საკდესის ფოტოქრონიკა.

6 თებერვალი

თბილისის თეატრები და კინოები

ოპერისა და ბალეტის — „ევგენი ონეგინი" (მე-11 აბონ. მე-5 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — არაგველები, **მარჯანიშვილის სახელობის** — ჩემი ყვავილეთი (პრემიერა), **გრიბოედოვის სახელობის** — თხუნელა, **მუსიკალური კომედიის** — ლალი ქარი (რკინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — სახელგატეხილნი (პრემიერა), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჯადოსნური ხილაბანდი (აბონ. № 47, 4 ს., აბონ. № 8, 7 ს.), **თოჯინების ქართული** — დარუბნელი ჭაბუკი (10 ს.), დიდი ივანე (2 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, საქართველო (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა, ყაზბეგი** — ფურტუნა, **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — მებრძოლი ქალი, **სპარტაკი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **კომუნარების ბაღი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — სად არის შენი ბედნიერება, მზია?, **თბილისი** — როზა ბერნდი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — ინდოეთის ფილმების ჩვენება, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — ცეცხლმოდებული ციხე, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ირისტონის ვაჟი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — (საზამთრო) — ოქროს სიმფონია, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **დიდუბე, თანამგზავრი** — წყურვილი, **ოფიცერთა სახლი** — ვიდრე ჩემთან ხარ, **კოლმეურნე** — დღე უკანასკნელი, დღე პირველი, **კიროვის სახელობის პარკი** — გიორგი სააკაძე (I—II სერია).

ტელევიზია

18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — სატელევიზიო ჟურნალი „მერცხალი" № 3, 19.10 — კინოჟურნალი, 19.20 — კინონარკვევი, 19.50 — უკანასკნელი ცნობები, 20.00 — კინონარკვევი, 20.20 — ლიტერატურული გადაცემა — „მარჯორი უორდროპი", 20.40 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 21.30 — ახალი მხატვრული ფილმი — „გადარჩენილი თაობა".

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 00337 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. 1